**საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია**
**საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი**

---

# მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

## წინასწარი დასკვნები

2 ოქტომბერს არჩევნები ზოგადად კარგად ადმინისტრირებული იყო, მაგრამ საარჩევნო პროცესი გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა და გამძაფრებული პოლარიზაციით ხასიათდებოდა. საარჩევნო სუბიექტებს შესაძლებლობა ჰქონდათ საარჩევნო კამპანია თავისუფლად და კონკურენტულ გარემოში წარემართათ, თუმცა კამპანია დააზიანა დაშინების, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების შესახებ ფართოდ გავრცელებულმა და თანმიმდევრულმა განცხადებებმა და არათანასწორმა საასპარეზო პირობებმა. სამართლებრივი ჩარჩო ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და არჩევნებისთვის მოსამზადებელი პერიოდი გამჭვირვალედ და პროფესიონალურად იყო ორგანიზებული. ეროვნულ საკითხებზე გადაჭარბებულმა ფოკუსირებამ და ეროვნულ პოლიტიკაზე ამ არჩევნების ზეგავლენამ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები გადაფარა. მრავალფეროვანი მედიაგარემო უაღრესად პოლარიზებული იყო და შეზღუდულ სივრცეს ტოვებდა ანალიტიკური და საგამოძიებო გაშუქებისთვის; გაშუქება ძალზედ შერჩევითი იყო, რაც ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას უზღუდავდა. ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული დაშინებისა და ძალადობის შემთხვევები შეშფოთების საგანი იყო. რესურსებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი, კამპანიის დაფინანსების არასაკმარისი მონიტორინგი და ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული უპირატესობა მმართველ პარტიას აძლევდა ხელს. საარჩევნო კამპანიაში ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა აჩვენებს პოლიტიკაში ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად უფრო მეტი ვალდებულების აღების საჭიროებას. არჩევნების დღემ მოწესრიგებულად და გამჭვირვალედ ჩაიარა რამდენიმე პროცედურული ხარვეზის მიუხედავად, რომლებიც ხმების დათვლის პროცესში გამოიკვეთა. თუმცა სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლები, რომლებიც მოქმედებდნენ, როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და დროდადრო საარჩევნო პროცესს ხელს უშლიდნენ, და ასევე, საარჩევნო უბანის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც პოტენციურად ამომრჩეველზე გავლენას ახდენდნენ, შეშფოთების საფუძველს ქმნის.

სამართლებრივი ჩარჩო, სრულყოფილად დანერგვის შემთხვევაში, მთლიანობაში ადეკვატურ ბაზას იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. თუმცა ის მეტისმეტად გადატვირთულია და საარჩევნო პროცესის არაერთ ასპექტს საჭიროზე მეტად არეგულირებს. 19 აპრილს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2021 წლის ივნისში შევიდა, რაც მიზნად ისახავდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ წარმოქმნილი პოლიტიკური ჩიხის განმუხტვას; ახალმა ცვლილებებმა ნაწილობრივ გაიზიარა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მანამდე გაცემული რეკომენდაციები, მათ შორის

საარჩევნო დავების გადაწყვეტის ვადებისა და ხელახალი გადათვლების შესახებ, თუმცა არაერთი მათგანი კვლავაც გაუთვალისწინებელი დარჩა. მათ შორის ისინიც, რომლებიც შეეხებოდა ხმის მიცემის უფლების შეზღუდვას, საარჩევნო დავების გადაწყვეტის სხვა ასპექტებსა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად აუცილებელ დამატებით ზომებს.

ზოგადად, საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესის ტექნიკურ ასპექტებს წარმატებით გაართვა თავი და დაიცვა კანონით დადგენილი ყველა ვადა COVID-19-ის პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ აუცილებელი შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სხდომები ღია იყო პროცესში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარისთვის და ამასთანავე, პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ისტორიაში პირველად, სხდომები პირდაპირი ეთერით გადაიცა. მხარეები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ ნდობის სხვადასხვაგვარ ხარისხს გამოხატავენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ პლურალისტურმა შემადგენლობამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე არსებით განხილვებს შეუწყო ხელი. დაბალ დონეზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევასა და დანიშვნებთან დაკავშირებული დაპირისპირებების გამო, საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობის მიმართ ნდობა მთლიანობაში საკმაოდ დაბალი იყო.

არჩევნებისთვის დაახლოებით 3.5 მილიონი ამომრჩეველი დარეგისტრირდა. ხმის მიცემის უფლება რამდენიმე შეზღუდვას ექვემდებარება, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებსა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემულ რეკომენდაციებს. ხელისუფლებამ ძალისხმევა გაიღო ამომრჩეველთა სიების სიზუსტის გასაუმჯობესებლად, საარჩევნო კომისიებმა კი ამომრჩევლებს სავსებით საკმარისი შესაძლებლობა მისცეს ამომრჩეველთა სიაში საკუთარი პირადი მონაცემების გადასამოწმებლად და საჭიროების შემთხვევაში შესწორებების შესატანად. საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეების უმეტესობამ ნდობა გამოხატა საარჩევნო სიების სიზუსტის მიმართ.

კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესი ინკლუზიურად მიმდინარეობდა, მაგრამ ბევრმა კანდიდატმა არჩევნების დღემდე მოხსნა კანდიდატურა. რამდენიმე მათგანმა მიზეზად ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სავარაუდო ზეწოლა დაასახელა. ამომრჩევლებს ფართო არჩევანი ჰქონდათ მერობის 239, 2,769 მაჟორიტარ და 20 ათას პროპორციული წესით ასარჩევ კანდიდატს შორის, რომლებიც 43 პარტიამ და 68 საინიციატივო ჯგუფმა წარმოადგინა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ორი დადგენილება გამოსცა, რომლებიც ავიწროებს საკანონმდებლო პირობებს და ზღუდავს კანდიდატებისა და ამომრჩეველთა სიებისთვის რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობას კანდიდატთა მოთხოვნილი მინიმალური რაოდენობის დაუცველობის ან დოკუმენტაციის არასრულად ჩაბარების გამო.

საარჩევნო კამპანია შეზღუდულად, მაგრამ კონკურენტულ გარემოში წარიმართა, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად შუქდებოდა მედიასა და ონლაინ გამოცემებში და ხასიათდებოდა განსხვავებული შეხედულებების მქონე საარჩევნო სუბიექტთა სიმრავლით. საარჩევნო პროცესი ზოგადად მშვიდად წარიმართა, თუმცა ცალკეულ პირებს შორის ძალადობისა და სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები ისევე, როგორც

სოციალური ქსელებით გავრცელებული აგრესიული რიტორიკა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად გამძაფრდა. ადგილობრივი საკითხები გადაფარა საარჩევნო პროცესის ხარვეზების თაობაზე გაკეთებულმა ბრალდებებმა როგორც ოპოზიციური ასევე მმართველი პარტიის მხრიდან და ასევე ამ არჩევნების რეფერენდუმად გამოცხადებაზე ყურადღების გამახვილებამ. კანონი კრძალავს სოციალური და ეკონომიკური პროექტების დაწყებას მხოლოდ არჩევნების ჩატარების თარიღის გამოცხადების შემდეგ, მთავრობა კი ამტკიცებს, რომ პროექტები არჩევნების ჩატარების თარიღის გამოცხადებამდე დაიწყო. თუმცა, ამის მიუხედავად, ბოლო დროს მთავრობის მიერ რამდენიმე პროექტის დაწყების შესახებ გაკეთებული განცხადება ეწინააღმდეგება კანონის სულისკვეთებას და საარჩევნო კამპანიაში მაღალი თანამდებობების პირების მონაწილეობამ მმართველ პარტიას თავისი მდგომარეობით მინიჭებული უპირატესობით შეუსაბამოდ სარგებლობის შესაძლებლობა მისცა. გამოითქვა ფართოდ გავრცელებული და თანმიმდევრული ბრალდებები ამომრჩეველთა მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების, დაშინებისა და ზეწოლის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს და შეშფოთების საფუძველს ქმნის ამომრჩეველთა შესაძლებლობის მიმართ ისარგებლონ ხმის მიცემის უფლებით „დასჯის შიშის გარეშე“.

ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი საჯარო თანამდებობებზე. მათ პარლამენტში ადგილების 19.3 პროცენტი უკავიათ, 15.5 პროცენტი კი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოების მიმდინარე შემადგენლობაში. 13 მინისტრიდან 4 მინისტრი ქალია. მუნიციპალიტეტების 64 მერიდან მხოლოდ ერთი მერია ქალი. მერობის ათი კანდიდატიდან მხოლოდ ერთი კანდიდატია ქალი, მაჟორიტარული სიით ასარჩევ კანდიდატებს შორის კი შვიდ კანდიდატში მხოლოდ ერთი კანდიდატია ქალი. პროპორციული სიით ასარჩევი მანდატებისთვის კანდიდატთა სიებში კანონით მოთხოვნილია, რომ სულ მცირე სამიდან ერთი კანდიდატი საწინააღმდეგო სქესისა უნდა იყოს. პროპორციული სიით ასარჩევ კანდიდატთა შორის მათი წილი საერთო ჯამში 42.5 პროცენტს შეადგენდა. ქალები მნიშვნელოვნად არ მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიებში; შესამჩნევი იყო მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი, ძირითადად დედაქალაქში.

ეროვნული უმცირესობები სრული პოლიტიკური უფლებებით სარგებლობენ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პირები ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ზოგიერთ ოლქში იყრიდნენ კენჭს, ეთნიკურ უმცირესობათა საკითხები არ იყო ფართოდ ასახული საარჩევნო კამპანიაში და ეროვნული უმცირესობები, მათი მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად, ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან საუბრისას პროცესში მონაწილე რამდენიმე მხარემ განაცხადა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ რამდენიმე კანდიდატზე განხორციელდა ზეწოლა კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნით, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა მათი არჩევნებში მონაწილეობის უფლებით განსაზღვრულ გარანტიებს.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკანონმდებლო ჩარჩო ყოვლისმომცველია, თუმცა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა (ოდირი) და „გრეკოს“ (GRECO) მიერ კამპანიის დაფინანსების შესახებ მანამდე გაცემული არაერთი რეკომენდაცია კვლავაც არ არის გათვალისწინებული. საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისა და რესურსებს

შორის თვალსაჩინო უთანაბრობა მხარეებს უთანასწორო საასპარეზო პირობებში აყენებდა. არჩევნების დღემდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვადების დაცვით და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გამოაქვეყნა ყველა საარჩევნო სუბიექტის ორი შუალედური ანგარიში. კანონთან შესაბამისობის მიუხედავად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თავისი დასკვნები ამ ანგარიშების შესახებ არჩევნებამდე მხოლოდ ერთი დღით ადრე გამოაქვეყნა; რაც ამცირებს გამჭვირვალობას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ გააჩნია საგამოძიებო უფლებამოსილება ან საკმარისი რესურსები ანგარიშებში აუსახავი შემოსავლისა და ხარჯების გამოსაკვლევად. ზოგადად, საკანონმდებლო ხარვეზები და მარეგულირებელი ჩარჩოს აღსრულების შეზღუდული შესაძლებლობები ზეგავლენას ახდენს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე.

მრავალფეროვანი მედიაგარემო ძალზედ პოლარიზებულ პოლიტიკურ კონტექსტს ასახავდა. მიუხედავად იმისა, რომ მედიის საკანონმდებლო ჩარჩო გამოხატვის თავისუფლებისთვის და მედიისთვის მყარ საფუძვლებს უზრუნველყოფს, მედია გარემოს გაუარესება, რაც ბოლო დროს ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული დაშინებისა და მუქარის შემთხვევებმა და ასევე ამ საქმეების სწრაფი და საფუძვლიანი გამოძიების ნაკლებობამ გამოიწვია, მედიის უსაფრთხო და დაცულ გარემოში ფუნქციონირების შესაძლებლობების კუთხით შეშფოთების საფუძველს ქმნის. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგი აჩვენებს, რომ ეროვნული სატელევიზიო არხების გაშუქება უმეტესად სამ ძირითად პარტიასა და მთავრობაზე იყო ორიენტირებული და შეზღუდულად წარმოაჩენდა სხვა პოლიტიკურ ალტერნატივებს. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დიდი დრო დაუთმო ძირითად საარჩევნო სუბიექტებს და ორჯერ გამართა დებატები. მედია მონიტორინგში მონაწილე ყველა კერძო არხი გაშუქებისას სარედაქციო ხაზში მიკერძოებულობას ავლენდა. გაშუქების უმეტესი ნაწილი დაეთმო საარჩევნო სუბიექტების ურთიერთბრალდებებს, ამასთანავე მნიშვნელოვან საკითხებზე დაფუძნებული ანალიტიკური და საგამოძიებო გაშუქება ძალიან შეზღუდული იყო, რაც ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას არ აძლევდა.

საჩივრებისა და სარჩელების განხილვის მექანიზმი დავების ეფექტური გადაწყვეტის გზაა, მაგრამ საჭიროებს დამატებით გარანტიებს სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალებებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ბოლოდროინდელი ცვლილებებით არ მოხდა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მანამდე გაცემული რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება, რომლებიც სამართლებრივი საფუძვლის გაფართოებასა და ყველა ტიპის საჩივრის დაჩქარებულ განხილვას შეეხებოდა. არჩევნების დღემდე საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში დაახლოებით 340 საჩივარი შევიდა, რომლებიც ღია სხდომებზე, კანონით დადგენილი მოთხოვნებით განიხილეს. მათგან 190 საჩივარი ოცდაათდღიან ვადას დაექვემდებარა და არჩევნების დღემდე არ განხილულა, რაც არ შეესაბამება სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალებებს. განხილული შემთხვევები უარყოფილი იყო დაუსაბუთებლობის გამო. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრებისას პროცესში მონაწილე მხარეებმა არასაკმარისი ნდობა გამოხატეს საარჩევნო კომისიების, სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების მიუკერძოებლად განხილვის მიმართ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინკლუზიურად დაარეგისტრირა 88 ადგილობრივი და 52 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია. რამდენიმე ადგილობრივმა სადამვირვებლო ორგანიზაციამ საზოგადოებისთვის არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით ყოვლისმომცველი შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე ორიენტირებულმა საარჩევნო კამპანიებმა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის ოპოზიციის ან მთავრობის მხარდამჭერი სავარაუდო დამკვირვებელთა სიების გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო ზოგადად სადამკვირვებლო ჯგუფების აღქმას, თითქოს ისინი პარტიულ მიზნებს ემსახურებიან, რამაც სავარაუდოდ უარყოფითი ზეგავლენა იქონია სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხზე. ეს კი ძირს უთხრის არჩევნებზე სადამკვირვებლო ძალისხმევის ნამდვილ მიზანს.

კენჭისყრის დღემ მშვიდად და მოწესრიგებულად ჩაიარა, თუმცა დაფიქსირდა ძალადობრივი ინციდენტის რამდენიმე შემთხვევა. წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობა 51.9 პროცენტი იყო. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დამკვირვებლებმა თავისი დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების დიდ ნაწილში გახსნისა და ხმის მიცემის პროცედურები დადებითად შეაფასეს, თუმცა ანგარიშებში ასახულია ხალხმრავლობის შემთხვევები, რომლებიც COVID-19-ის პანდემიის გავრცელების შესაკავებლად შემოღებული წესების დაცვას კიდევ უფრო ართულებდა, და ასევე საარჩევნო უბნების მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც არ უზრუნველყოფდა ხმის ფარულობის დაცვას. გარდა ამისა, ანგარიშებში აღნიშნულია, რომ საარჩევნო უბნებზე უწყვეტად იმყოფებოდნენ სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მოქმედებდნენ, როგორც პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერები და დროდადრო საარჩევნო პროცესს ხელს უშლიდნენ; ასევე, საარჩევნო უბნებს გარეთ პარტიის მხარდამჭერთა ყოფნა დამაშინებელ გარემოს ქმნიდა და შეშფოთების საფუძველს იძლეოდა, რადგან მსგავს ქმედებებს შესაძლოა ზეგავლენა მოეხდინა ამომრჩევლების მიერ ხმის მიცემის პროცესზე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესი გამჭვირვალედ შეაფასეს, მაგრამ ასევე აღნიშნეს, რომ დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების მნიშვნელოვან ნაწილში ოქმების შევსების დროს პროცედურულმა ხარვეზებმა და სირთულეებმა პროცესზე ზეგავლენა იქონია.

## წინასწარი მიგნებები

### არსებული ფონი და პოლიტიკური კონტექსტი

2 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები 64 მუნიციპალიტეტში ჩატარდა. ამომრჩევლებს შესაძლებლობა მიეცათ აერჩიათ მერები და წარმომადგენლობითი ორგანოების (*საკრებულო*) წევრები ხუთ თვითმმართველ ქალაქსა და 59 თვითმმართველ თემში.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ, *„ქართული ოცნება“*, ამომრჩეველთა ხმების 48,22 პროცენტით პროპორციული სიით ასარჩევი 90 მანდატიდან 60 მანდატი და ოცდაათივე მაჟორიტარული ადგილი მოიგო. ბოლო ადგილობრივ არჩევნებზე პარტიამ მერობის 64-დან 62 მანდატი და 64 ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოდან 63-ში უმრავლესობა მოიპოვა. 2018 წელს *„ქართული ოცნების“* მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი, ქვეყნის პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა. საჯარო თანამდებობებზე ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილი. მათ პარლამენტში ადგილების მხოლოდ 19.3 პროცენტი უკავიათ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიმდინარე შემადგენლობაში - კი, 15.5 პროცენტი. 13-დან 4 მინისტრი ქალია. 64 მოქმედი მერიდან მხოლოდ ერთი მერია ქალი.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რვა ოპოზიციურმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკებმა პირველ ტურში ერთპროცენტიან ზღვარს მიაღწიეს, მაგრამ შემდგომ, არჩევნების სავარაუდო გაყალბების ბრალდებით, შედეგები არ აღიარეს და არჩევნების მეორე ტურს ბოიკოტი გამოუცხადეს.[1] მათ ასევე უარი თქვეს პარლამენტში კუთვნილი ადგილების დაკავებაზე, მოითხოვდნენ რა ხელახალი არჩევნების ჩატარებას.[2] პოლიტიკური ჩიხი კიდევ უფრო გააღრმავა 2021 წლის თებერვალში *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* (ენმ) ლიდერის 2019 წლის ივნისის პროტესტების დროს ძალადობის წაქეზების ბრალდებით დაკავებამ.[3] 2021 წლის 19 აპრილს მოლაპარაკებების ხანგრძლივი პროცესის ევროკავშირის მიერ მედიაციის შემდგომ მიღწეულ იქნა შეთანხმება საარჩევნო და სასამართლო რეფორმის შესახებ. შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა 2022 წელს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ მმართველი პარტია 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე პროპორციული სიით ხმების 43 პროცენტს ვერ მიაღწევს.[4] შეთანხმების შემდეგ ოპოზიციური პარტიების უმეტესობამ პარლამენტში თავისი მანდატები დაიკავა.[5] 28 ივლისს *„ქართულმა ოცნებამ“* შეთანხმება დატოვა და განაცხადა, რომ მან, თავის მხრივ შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა პუნქტი შეასრულა და გააკრიტიკა ის პარტიები, რომლებმაც შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს და „მიზნად დაისახეს ხელოვნური პოლიტიკური კრიზისის შექმნა“.[6]

არჩევნებამდე სამი კვირით ადრე მედიაში გამოჩნდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოჟონილი ფეთქებადსაშიში მაკომპრომეტირებელი მასალები, რომელთა თანახმადაც გამოაშკარავდა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებდა სასულიერო პირების, დიპლომატების, პოლიტიკოსების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა, ჟურნალისტებისა და სკოლისა და საბავშვო ბაღების თანამშრომელთა

---

[1] ესენი იყვნენ საარჩევნო ბლოკი - *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „ევროპული საქართველო“, „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „პატრიოტთა ალიანსი“, „გირჩი“, „მოქალაქეები“, „ლეიბორისტული პარტია“.*

[2] ორი პარტიამ, *„ევროპელი სოციალისტები“* და *„მოქალაქეებმა“* 2021 წლის იანვარში პარლამენტში შესვლის თაობაზე მმართველ პარტიასთან შეთანხმებას მიაღწიეს.

[3] ნიკანორ მელიამ საპატიმრო 2021 წლის 10 მაისს დატოვა ევროკავშირის მიერ გირაოს გადახდის შემდეგ.

[4] იხ. 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმება.

[5] შეთანხმებას ყველა პარტიამ არ მოაწერა ხელი, მათ შორის იყო უმსხვილესი ოპოზიციური პარტია, რომელმაც შეთანხმებას ხელი 2 სექტემბერს მოაწერა.

[6] იხ. *„ქართული ოცნების“* პოლიტიკური განცხადება, 28 ივლისი, 2021 წელი.

უკანონო მიყურადებას. ამ მასალების გამოქვეყნებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები მოჰყვა, რასაც თან ერთოდა მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მიმართ წამოყენებული ბრალდებები, იმის თაობაზე თუ ვინ იდგა სავარაუდო უკანონო მიყურადებისა და მედიაში ინფორმაციის გაჟონვის უკან.

## სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

მუნიციპალური არჩევნები ძირითადად 1995 წლის კონსტიტუციით, 2011 წლის საარჩევნო კოდექსით, 1997 წლის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ორგანული კანონით და ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დადგენილებებითა და განკარგულებებით რეგულირდება.[7] საქართველო დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესახებ დადებული ძირითადი საერთაშორისო და რეგიონალური შეთანხმებების ხელმომწერია [8] საკანონმდებლო ჩარჩო, სრულყოფილად დანერგვის შემთხვევაში, მთლიანობაში ადეკვატურ ბაზას ქმნის დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. თუმცა ის მეტისმეტად გადატვირთულია და საარჩევნო პროცესის არაერთ ასპექტს საჭიროზე მეტად არეგულირებს.[9] 19 აპრილს დადებული შეთანხმების შესაბამისად საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2021 წლის ივნისში შევიდა, მაგრამ ამ პროცესს კანონმდებლობის ყოვლისმომცველი გადახედვა არ მოჰყოლია. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების არჩევნების გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე განხორციელება საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას ეწინააღმდეგება, ეს ცვლილებები დაინტერესებული მხარეების დიდ ნაწილთან გამართული კონსულტაციების შედეგად ფართო კონსენსუსით მიიღეს. [10]

---

[7] გამოყენებულ დებულებები ასევე მოცემულია 2004 წლის მაუწყებლობის შესახებ კანონში, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, 1999 წლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში და 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსში.

[8] მათ შორის 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1979 წლის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, 1965 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2003 კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ , 2006 წლის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, და 1950 წლის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ.

[9] მათ შორის დავების გადაწყვეტას, კანდიდატთა რეგისტრაციისთვის აუცილებელი ტექნიკურ მოთხოვნებს, არჩევნების დღის პროცედურებსა და დებულებებს, რომლებიც აღარ გამოიყენება, გარდამავალ დებულებებსა და დებულებებს, რომლებიც მომავალში იქნება გამოყენებული.

[10] 2002 წლის ვენეციის კომისიის „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის" სახელმძღვანელო მითითებების II 2ბნაწილობრივ ადგენს ფუნდამენტური დებულებების, განსაკუთრებით კი საარჩევნო სისტემის მარეგულირებელი დებულებების, ასევე, საარჩევნო კომისიების შემადგენლობისა და საარჩევნო ოლქების საზღვრების სტაბილურობას. მიჩნეულია, რომ ამ სამ ელემენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების შედეგებისთვის. ამ მნიშვნელოვანი ფაქტორების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ უნდა გადაისინჯოს არჩევნების წინა პერიოდში (ანუ ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში); საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებდა 2019-2020 წლებში და შემდგომ მუშაობა 2021 წლის იანვარში განაახლა. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობდა ადგილობრივი საზოგადოებრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები და დიპლომატიური საზოგადოების წევრები. თებერვალში ოპოზიციური პარტიების უმეტესობამ თავი შეიკავა ამ შეხვედრებში მონაწილეობისაგან, თუმცა მაისში, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ყველა მათგანი ესწრებოდა.

ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა შეცვალა საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და კომისიის წევრთა დანიშვნის წესი, გაზარდა დავების გადაწყვეტის ვადები, შემოიღო უფრო მაღალი პროპორციული კომპონენტი ადგილობრივი არჩევნებისთვის და სავალდებულო ხელახალი გადათვლა და ასევე, შემოიღო ზომები ამომრჩეველთა დაშინებისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით. ამასთანავე, ცვლილებებმა ნაწილობრივ გაითვალისწინა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს ევროპული კომისიის ,,დემოკრატია სამართლის მეშვეობით'' (ვენეციის კომისია) რეკომენდაციები.[11] თუმცა განუხორციელებელი დარჩა არაერთი მანამდე გაცემული რეკომენდაცია საკანონმდებლო ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან უფრო მეტად მიახლოების შესახებ, მათ შორის, რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა ხმის მიცემის უფლების შეზღუდვას, საარჩევნო დავების გადაწყვეტის გზებსა და საარჩევნო კამპანიის წარმართვასა და დაფინანსებას.

64 მერი და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს (*საკრებულო*) წევრები პირდაპირ ოთხწლიანი ვადით აირჩევიან. ეს უკანასკნელნი შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით. *საკრებულოში* მანდატების მოსაპოვებლად, პარტიულმა სიებმა მუნიციპალიტეტებში უნდა მოიპოვონ ნამდვილი ხმების სულ მცირე სამი პროცენტი (2.5 პროცენტი თბილისში). მაჟორიტარი და მერობის კანდიდატები, რომლებიც ხმების უმეტესობას მიიღებენ, იმ შემთხვევაში თუ ისინი შესაბამისად ხმების 40 და 50 პროცენტს დააგროვებენ, გამარჯვებულად ცხადდებიან. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მოიპოვებს ხმების საჭირო რაოდენობას, ოთხ კვირაში არჩევნების მეორე ტური საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის გაიმართება.

ივნისში მიღებულმა ცვლილებებმა პროპორციულად არჩეული ადგილების საერთო რაოდენობა 970-დან 1404-მდე გაზარდა, მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა კი 1,088-დან 664-მდე შეამცირა და განსაზღვრა 59 მაჟორიტარული ოლქის საზღვრები. კანონის მოთხოვნის შესაბამისად არჩევნების ჩატარების თარიღის გამოცხადებიდან ხუთი დღის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებმა თბილისის მუნიციპალიტეტის ათი ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის საზღვრები კანონით დადგენილ ვადაში, 1 აგვისტომდე, განსაზღვრა. საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა არჩევნების ჩატარებამდე ცოტა ხნით ადრე არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას.[12]

---

11 იხ. ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის საარჩევნო ცვლილებების პროექტზე ერთობლივი სასწრაფო დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის თაობაზე

12 ,,საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის'' I.2.2.v პარაგრაფი ადგილების ხელახალი გადანაწილების რეკომენდაციას იძევა და ამბობს, რომ ეს პირობა „სასურველია შესრულდეს არასაარჩევნო პერიოდში". 18 სექტემბერს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" საკონსტიტუციო სასამართლოს საჩივრით მიმართა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ზოგიერთი მაჟორიტარული ოლქის საზღვრები ხმის მიცემის თანასწორობის პრინციპს არღვევს.

## საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება ხორციელდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის, 73 საოლქო და 3,664 სტანდარტული საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ.[13] 2021 წლის ივნისში მიღებული ცვლილებებით ყველა კომისიის შემადგენლობა და ასევე, ცესკოს თავმჯდომარისა და არაპარტიული წევრების არჩევის წესი შეიცვალა, რაც დაბალანსებული წარმომადგენლობის მეშვეობით საზოგადოების ნდობის განსამტკიცებლად გაცხადებულ მიზანს ემსახურება. ამჟამად, ყველა დონეზე კომისიები ჩვიდმეტამდე წევრისგან შედგება, რომელთაგანაც რვა არაპარტიულია, ცხრამდე წევრს კი პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ.[14] ცესკოს წევრებიდან ოთხი ქალია.

ბოლოდროინდელ ცვლილებებთან შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის რვა არაპარტიული წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების საკონკურსო კომისიის შეთავაზებაზე დაყრდნობით, პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტმა აირჩია. მათ ასარჩევად საჭიროა კვალიფიციური უმრავლესობის ორი მესამედი. თუ საჭირო უმრავლესობა ვერ შედგა, კომისიის წევრები „პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმის" პრინციპზე დაყრდნობით ხუთწლიანი ვადის მაგივრად მაქსიმუმ ექვსთვიანი ვადით აირჩევიან.[15] ახალი თავმჯდომარე და ორი არაპარტიულ წევრი კვალიფიციური უმრავლესობის მიღწევის სამი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ 2 აგვისტოს „პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმის" პრინციპზე დაყრდნობით აირჩიეს.

ცესკოს თითო წევრის დანიშვნა ცხრამდე საპარლამენტო პარტიას შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო პარტიების რაოდენობა ცხრაზე მეტია, პრიორიტეტი იმ პარტიებს ენიჭება, რომლებმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში მეტი ხმა მიიღეს.[16] ბოლო ცვლილებების თანახმად ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის დამატებითი თანამდებობა წარმოიშვა, რომელიც ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან აირჩევა. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრებისას პროცესში მონაწილე

[13] 70 სპეციალური საუბნო საარჩევნო უბანი ადაპტირებულია კარანტინში მყოფი ამომრჩევლებისთვის, და ასევე ცხრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არჩევნები არ ჩატარებულა.

[14] წარსულში, ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან მიმართებით პროპორციის დაცვით, კომისიები ექვსი პროფესიონალი და ექვსი საპარლამენტო ფრაქციების მქონე პარტიების მიერ დანიშნული წევრისგან შედგებოდა.

[15] ორი მესამედის მოპოვების ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, გათვალისწინებულია კიდევ ორი მცდელობა, რომელიც მოითხოვს 3/5-ის მოპოვებას და შემდეგ კი - სტანდარტულ უმრავლესობას.

[16] ცესკოს წევრების დანიშვნის უფლებამოსილი მხარეები იყვნენ *"ქართული ოცნება"*, *"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"*, *"ლელო" "ევროპული საქართველო, "მესამე ძალა- სტრატეგია აღმაშენებელი"*, *„მოქალაქეები"*, *„გირჩი"*, *„ევროპელი დემოკრატები"* და *„ევროპელი სოციალისტები"*. საარჩევნო კოდექსში შემოღებული დროებითი წესების გათვალისწინებით ორმა პარტიამ დაკარგა ცესკოს წევრების დასახელების უფლება, რომელიც ორ სხვა პარტიას გადაეცა. 1961 (2) მუხლი აწესრიგებს პარტიებს საჯარო დაფინანსების მიხედვით ამ უფლების გამოყენებისას, რომლის მეშვეობითაც *„ევროპელი დემოკრატები"*, *„ლეიბორისტულ პარტიაზე"* წინ მოხვდნენ. *„პატრიოტმა ალიანსმა"* დაკარგა ცესკოს წევრის დანიშვნის უფლება მას შემდეგ, რაც 2021 წლის იანვარში პარტიის ყველა დეპუტატმა შექმნა ახალი პარტია - *„ევროპელი სოციალისტები"*. პატრიოტთა ალიანსმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა საარჩევნო კომისიების დანიშვნის პროცესიდან მათი გამორიცხვა.

მხარეებმა გამოხატეს ნდობის სხვადასხვაგვარი ხარისხი ცესკოს მიუკერძოებლობის მიმართ და განაცხადეს რომ „პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმის" დაშვებით კონსენსუსზე დაფუძნებული საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების შესაძლებლობა გაქრა. თუმცა ცესკოს პლურალისტურმა შემადგენლობამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე არსებით განხილვებს შეუწყო ხელი.

საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიების ხუთ მუდმივ წევრს შეუერთდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შერჩეული სამი არაპარტიული წევრი და პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული ცხრამდე წევრი. ისტორიაში პირველად ცესკომ პირდაპირი ეთერში გადასცა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრობის არაპარტიულ კანდიდატებთან გამართული გასაუბრებები. [17] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრებისას პროცესში მონაწილე ზოგიერთმა მხარემ გააკრიტიკა წევრების შერჩევა, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიებისგან განსხვავებით საოლქო საარჩევნო კომისიების შემთხვევაში გამოყენებული წესები არ გამორიცხავს წარსულში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების არაპარტიულ წევრებად დანიშვნას, რაც ეჭვქვეშ აყენებს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების მიუკერძოებლობას.[18]

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობისთვის განცხადების წარდგენისა და შერჩევის ვადები შემჭიდროებული დარჩა. საოლქო საარჩევნო კომისიებმა ოთხი დღის ვადაში 31,483 კანდიდატიდან 29,312 არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი აირჩიეს, რითაც, ფაქტობრივად, გამოირიცხა მნიშვნელოვანი განხილვებისა და ნამდვილი კონკურენციის შესაძლებლობა. კანონის თანახმად ბოლო საერთო არჩევნებში 903 კანდიდატს პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრობის გამო კანდიდატურა გაუუქმდა.[19] საუბნო საარჩევნო კომისიების დაახლოებით 59 პროცენტს ზუსტად რვა კანდიდატი ჰყავდა რვა არაპარტიული წევრის თანამდებობაზე გამოცხადებულ ვაკანსიაზე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისთან საუბრებისას პროცესში მონაწილე ბევრი მხარე აღნიშნავდა, რომ კომისიის წევრთა დანიშვნის პროცესი ადგილობრივი მთავრობების

---

[17] მუდმივმოქმედი საოლქო საარჩევნო კომისაის წევრებიდან, თითქმის ნახევარს (162 365-დან) უფლებამოსილების ვადა 2021 წლის თებერვალში ამოეწურა; 141 ხელახლა აირჩიეს (35 მათგანი მეოთხე ვადით) ცესკოს წინა შემადგენლობით, რომელიც კვლავ უმეტესად *„ქართული ოცნების"* დანიშნული წევრებისგან შედგებოდა.

[18] წარსულში პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები ვერ დასახელდებიან ცესკოს წევრობის კანდიდატებად ხუთი წლის განმავლობაში; ხოლო კომისიის წევრები, რომლებიც პარტიებმა ბოლო საყოველთაო არჩევნებისთვის კომისიის წევრებად წარადგინეს, ვერ იმსახურებენ საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიულ წევრებად.

[19] თუმცა კანონმდებლობა არ გამორიცხავს მათ, ვინც ადრე კონკურსში მონაწილეობა მიუღია. ბოლო ცვლილებების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ და მდივნად  მხოლოდ არაპარტიული წევრების არჩევაა შესაძლებელი.

მიერ იყო კოორდინირებული და შესაბამისად, არ იყო კონკურენტული. [20] ზევრ საოლქო საარჩევნო კომისიაში რამდენიმე ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნულმა წევრმა თავი შეიკავა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატებისთვის ხმის მიცემისგან და განსხვავებული აზრი წარადგინა, რომელშიც არგუმენტად გამჭვირვალობის ნაკლებობა და ბევრი კანდიდატის მმართველ პარტიასთან სავარაუდო კავშირი დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევის უფლების მქონე პარტიებმა ოფიციალურად შეავსეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კვოტა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე რამდენიმე მხარე ვარაუდს გამოთქვამდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა თანამდებობები პარტიებს შორის ვაჭრობის საგანი იყო. საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიული წევრების შერჩევისა და დანიშვნის გარშემო წამოჭრილმა დაპირისპირებებმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონის მიუკერძოებლობის მიმართ არსებული ზოგადი ნდობის ნაკლებობას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ დღემდე კანონით განსაზღვრული ვადები დაიცვა და COVID-19-ის პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ აუცილებელი შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით არჩევნებისთვის მზადების ტექნიკურ ასპექტებს ეფექტურად გაართვა თავი. ცესკო რეგულარულად ატარებს სხდომებს, რომლებიც ღიაა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენლებისთვის, აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიისთვის, წელს პირველად კი სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცა. ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები, და ასევე შესაბამისი შეხვედრების ოქმები, დროულად გამოქვეყნდა ონლაინ, რამაც პროცესის გამჭვირვალობა გაზარდა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან და პარტიების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ COVID-19-თან დაკავშირებით რამდენიმე დადგენილება გამოსცა, რომლებიც კენჭისყრის შენობაში შესვლის, სტანდარტული საარჩევნო უბნების მუშაობისა და კარანტინის პირობებში ხმის მიცემის წესებს არეგულირებს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინფორმაციო ცენტრმა, რომელიც შექმნილია ტრადიციული მედია საშუალებებითა და სოციალური ქსელების მეშვეობით საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, რამდენიმე შემთხვევაში კონკრეტული მედია საშუალების, ოპოზიციური პარტიის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმართული დაუბალანსებელი ანგარიშები წარმოადგინა. 23 სექტემბერს სამი ონლაინ მედია საშუალების მიერ გამოქვეყნებული განცხადების საპასუხოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კიდევ ერთი განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ტექნიკური ხარვეზების არსებობა და მცდარი მიგნებების დაშვება აღიარა.[21]

---

[20] 23 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად განიხილა და არ დააკმაყოფილა *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, რომელიც შეეხებოდა *„ენმ“*-ს მიერ დანიშნული წევრისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების მიერ შეტანილი განცხადებებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას; ფაქტი, რომ განხილული განცხადებების უმეტესობა მხოლოდ რამდენიმე ელექტრონული ფოსტის მისამართიდან იყო შესული (მათ შორის 38 მხოლოდ ერთი მისამართიდან); და ისიც, რომ არ მოხდა განცხადებების შემოწმება წარსულში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გადასამოწმებლად.

[21] 24 სექტემბერს USAID-მა განაცხადა, რომ მათ გადაწყვიტეს ცენტრისთვის დახმარება შეეწყვიტათ.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები, პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების დასწრების სხვადასხვაგვარი ხარისხის მიუხედავად, კარგად ორგანიზებული იყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ტრენინგ-ცენტრმა შესაბამისი სასწავლო პროგრამები შესთავაზა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, პოლიტიკურ პარტიებს, ქალ კანდიდატებს, მედიასა და უსაფრთხოების სამსახურებს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ტელევიზიითა და რადიოთი გაავრცელა ინფორმაცია ამომრჩეველთა საინფორმაციო პუნქტების შესახებ და ამომრჩევლებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო უმცირესობათა ენებზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიხედვით 1,129 საარჩევნო უბანია (30 პროცენტი) ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის, რომელთაც შეუძლიათ ხმის მიცემა მოითხოვონ მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ფარგლებში ნებისმიერ მსგავს უბანზე. გადასატანი საარჩევნო ყუთი ხელმისაწვდომი იყო იმ ამომრჩევლებისთვის, რომლებსაც შინიდან გასვლა არ შეეძლოთ.

## ამომრჩევლების რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს აქვს. პირებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ გამოცხადნენ და სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში არიან მოთავსებული, საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ.[22] ეს საყოველთაო გამორიცხვა არ შეესაბამება საერთაშორისოს აღიარებულ სტანდარტებსა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის ოფისის მიერ მანამდე გაცემულ რეკომენდაციებს.[23]

ამომრჩეველთა რეგისტრაცია არის პასიური, ცენტრალიზებული და განგრძობადი. ცესკო ამომრჩეველთა სიებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დაცული სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ადგენს, რომელიც კვარტალურად ახლდება და ასევე უშუალოდ არჩევნების წინ.[24] დამატებითი ინფორმაცია ამომრჩევლების შესახებ მოწოდებულია სხვა პასუხისმგებელი უწყებების მიერ.[25] პირადობის

---

22 განსაკუთრებით მძიმე დანაშაული გულისხმობს დანაშაულს, რომლისთვისაც პირი 10 ან მეტი წლით იხდის სასჯელს, ან უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის სასჯელს იხდის 2,669 ადამიანი. სტაციონარში იმყოფება 209 ადამიანი.

23 იხ.გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ , რომელიც ადგენს: :"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ თავისუფლად და სრულად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი საფუძველზე სხვებთან ერთად, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხმის მიცემის და არჩევის უფლებისა და შესაძლებლობის ჩათვლით."

24 საჯარო სერვისების განვითარების ეროვნულმა სააგენტომ ეუთო/ოდირის სამაკვირვებკლო მისიას შეატყობინა, რომ ის ახორციელებს გრძელვადიან პროექტს სამოქალაქო რეესტრის გასაწმენდად, რასაც დოკუმენტების დუბლიკატებისა და გარდაცვლილი პირების იდენტიფიკაციით ახორციელებდა. საჯარო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს მონაცემებში 15 სექტემბრის მდგომარეობით სიებში 3,540,609 პოტენციურ ამომრჩეველია.

25 მათ შორისაა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მუნიციპალური ხელისუფლება, თავდაცვის

დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტის მქონე ამომრჩევლები ავტომატურად ემატებიან ამომრჩეველთა წინასწარ სიას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული მათი რეგისტრაციის ბოლო ან დროებითი მისამართის შესაბამისად.[26] დაახლოებით 40,000 მოქალაქე, რომლებიც სამოქალაქო რეესტრში პოტენციურ ამომრჩევლად ირიცხება, სხვადასხვა მიზეზთა გამო არ შეიყვანეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო სიაში.[27]

ამომრჩეველთა წინასწარი სიები საზოგადოებისთვის რამდენიმე გზით იყო ხელმისაწვდომი: ონლაინ, სწრაფი გადახდის 12,780 ტერმინალით, და როგორც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, საუბნო საარჩევნო კომისიათა უმეტესობაში. ამომრჩეველთა საბოლოო სიაში 3,497,345 ამომრჩეველია დარეგისტრირებული, მათ შორის 74,550 გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში[28] სპეციალურ სიაში გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში მყოფი დაახლოებით 6,074 ამომრჩევლიდან 3,822 პაციენტი, კარანტინში მყოფი 147 პირი და COVID-19-ის გამო თვითიზოლაციაში მყოფი 1,198 პირი[29] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე მხარეების უმეტესობას ამომრჩეველთა სიის სიზუსტესთან დაკავშირებით უკმაყოფილება არ გამოუთქვამს.

## კანდიდატებისა და პარტიების რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლების მქონე 21 წელს მიღწეულ ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც საქართველოში 5 წელზე მეტი ხანი უცხოვრია, *საკრებულოს* არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია.[30] მერობის კანდიდატი კი სულ მცირე 25 წლის უნდა იყოს და უნდა ჰქონდეს

სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს დაზვერვის სამსახური, სპეციალური სასჯელაღსრულების სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.

26 საჯარო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს მიხედვით, სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულ 165,480 მოქალაქეს არ აქვს მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი.

27 ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიხედვით ეს მოიცავს 16,166 მოქალაქეს მხოლოდ საზღვარგარეთ რეგისტრირებული მისამართით; 22, 160 იძულებით გაადაადგილებულ პირს რეგისტრაციის მისამართით მხოლოდ აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე; დაახლოებით 2300 ამომრჩეველს მისამართის გარეშე ან დაკარგული მისამართით, რომლებიც ვერ მიეკუთვნებიან საუბნო საარჩევნო კომისიებს, კიდევ 997 ამორიცხულია დაკარგული ან ცუდი ხარისხის ფოტოების გამო. ცესკომ 15-დან 20 სექტემბრამდე პერიოდში დამატებით დაასახელა 841 გარდაცვლილი პირი;

28 *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ - *„განათლების პროფესიულმა კავშირმა“* 55 საჩივარი შეიტანა სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც შეეხება გადასატანი საარჩევნო ყუთის ამომრჩეველთა სიების ფორმირებასა და მოთხოვნების სწორად დამუშავებას.

29 ამ სიებს დაემატება მხოლოდ ისეთი ამომრჩეველი, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო უწყებებში. თვითიზოლაციაში მყოფმა ამომრჩევლებმა რომლებიც COVID-19– ის გამო შინ იმყოფებიან, უნდა დარეკონ ცესკოს ცხელ ხაზზე 25 – დან 27 სექტემბრამდე. ხმის მიცემა შეეძლებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც საკუთარ საარჩევნო ოლქში ცხოვრობენ.

30 კარგი პრაქტიკის კოდექსის პარაგრაფში 1.1.c.iv ნათქვამია, რომ "საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს, უფრო გრძელი ვადა შესაძლოა საჭირო იყოს მხოლოდ ეროვნული უმცირესობების დასაცავად".

ხმის მიცემის უფლება.[31] პარტიებს ან საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც სულ მცირე ხუთი ამომრჩევლისგან შედგება, მერობის და *საკრებულოს* მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ. პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების სიების წარდგენის უფლება მხოლოდ პარტიებს აქვთ და ყოველი სამი წარდგენილი კანდიდატიდან ერთი საპირისპირო სქესის უნდა იყოს.[32]

კანდიდატების წარსადგენად პარტიები და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფები, შესაბამისად, ცესკოში და საოლქო საარჩევნო კომისიებში უნდა დარეგისტრირდნენ. იმ პარტიებს, რომლებსაც წინა საპარლამენტო არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა ან არჩევნების დანიშვნის დროს არ ჰყავდათ წარმომადგენელი პარლამენტში, ცესკოსთვის 25,000 მხარდამჭერთა ხელმოწერის ჩაბარება ევალებათ.[33] ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილ თითოეულ კანდიდატურას თან უნდა ახლდეს მხარდამჭერთა ხელმოწერები.[34] ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საოლქო საარჩევნო კომისიებში შემდგარმა კომისიებმა წარმოდგენილი სიები ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს პარტიებისა და კანდიდატთა წარმომადგენლების თანდასწრებით შეადარეს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინკლუზიური პროცესით 52-დან 43 პარტია და 68 საინიციატივო ჯგუფი დაარეგისტრირა[35] პარტიებმა და საინიციატივო ჯგუფებმა წარმატებით დაარეგისტრირეს 239 მერობის კანდიდატი (12 დამოუკიდებელი), 2,769 მაჟორიტარი კანდიდატი (56 დამოუკიდებელი) და 770 პროპორციული სია საერთო ჯამში 20,624 კანდიდატით. 25 ქალი დარეგისტრირდა მერობის კანდიდატად (10 პროცენტი), 488 მაჟორიტარ კანდიდატად (17 პროცენტი); კანდიდატთა სიებში 8,767 ქალია (42,5 პროცენტი).

ბევრმა კანდიდატმა არჩევნების დღემდე მოხსნა კანდიდატურა. რამდენიმე მათგანმა მიზეზად ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სავარაუდო ზეწოლა დაასახელა. საერთო ჯამში 14 პროპორციულ სიას რეგისტრაცია გაუუქმდა და 617-ზე მეტმა *საკრებულოს* მაჟორიტარმა კანდიდატმა, რომელთა ერთი მესამედიც ქალია, არჩევნების წინ მოხსნა კანდიდატურა, ისევე როგორც 102 მაჟორიტარმა და სამმა მერობის კანდიდატმა. ამან

[31] კანონი მოითხოვს ქართული ენის ფლობას თბილისის საკრებულოს კანდიდატებისთვის, რაც ცესკოს მიხედვით, პრაქტიკაში აღსრულებული არ ყოფილა. რეგისტრაცია საჭიროა რიგი საჯარო ოფისის პოზიციებისთვის მანამ, სანამ კანდიდატად დარეგისტრირება შეიძლება.

[32] „ერთი-ორში" კვოტა კანდიდატებისთვის 2020 წლის ივლისში დაინერგა მაგრამ შემცირდა „ერთი-სამში" პრინციპამდე 2021 წლის ივნისში. ევროპულმა სასამართლომ გენდერული კვოტების კანონიერება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა, მტკიცებით რომ იგი პოლიტიკურ მონაწილეობას უშლის ხელს. სარჩელი განხილვის პროცესშია.

[33] ცესკომ 7 ახალი პარტია დაარეგისტრირა ამ პროცედურის გამოყენებით.

[34] რიცხვები განისაზღვრა ცესკოს მიერ თითოეული მაჟორიტარული უბნის და მერის თანამდებობისთვის ცალ-ცალკე. ზოგადად, ის შეესაბამებოდა უბანში რეგისტრირებული ამომრჩევლების 1 %-ს, მაგრამ არანაკლებ 50-ისა;

[35] სამ პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე ვადის გაშვების, არასაკმარისი ხელმოწერების, რეგისტრაციის დოკუმენტებში ხარვეზების არგამოსწორების გამო; ერთმა პარტიამ განაცხადი გააუქმა. რეგისტრაციის შემდგომ რეგისტრაცია გაუუქმდა 5 პარტიას კანდიდატების წარუდგენლობის გამო.

ზეგავლენა იქონია 19 პოლიტიკურ პარტიაზე.[36] არცერთი მათგანი არ ყოფილა მმართველი პარტიიდან. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ორი დადგენილება გამოსცა, რომლებმაც შეავიწროვა სამართლებრივი პირობები, რაც კანონის თანახმად, კანდიდატთა მინიმალური რაოდენობის მოთხოვნის შეუსრულებლობის ან დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის გამო კანდიდატებისთვის ან კანდიდატთა სიებისთვის რეგისტრაციის გაუქმებას გამოიწვევდა[37] ამ ზომამ რამდენიმე კანდიდატი, კანდიდატთა სია და ერთი პოლიტიკური პარტია რეგისტრაციის გაუქმებისგან დაიცვა.

## საარჩევნო გარემო

საარჩევნო კამპანიის ოფიციალური პერიოდი 3 აგვისტოს, არჩევნებამდე 60 დღით ადრე დაიწყო.[38] საარჩევნო კამპანია შეზღუდულად, მაგრამ კონკურენტულ გარემოში წარიმართა; საარჩევნო სუბიექტები განსხვავებულ შეხედულებებს წარმოადგენდნენ და კამპანია აქტიურად შუქდებოდა მედიასა და ონლაინ გამოცემებში.[39] ბევრმა პარტიამ შეამცირა კარდაკარ და პირისპირ კამპანიის აქტივობები COVID-19-თან დაკავშირებით გავრცელებული წუხილის გამო. ქვეყნის მასშტაბით ტარდებოდა მცირე ზომის ღონისძიებები; არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი კამპანიის ღონისძიებები[40]. მმართველი პარტიის ბილბორდები და პლაკატები ყველაზე მეტად იყო გავრცელებული მთელი ქვეყნის

---

36 მათ შორის *„თავისუფალი საქართველო", „ევროპული საქართველო", „პატრიოტთა ალიანსი", „ლეიბორისტული პარტია", „გახარია - საქართველოსთვის", „გირჩი", „გირჩი - მეტი თავისუფლება", „ლელო", „მესამე ძალა", „ევროპული სოციალისტები". „ვადამდელი არჩევნები - გაერთიანებული საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა", „სახალხო პარტია", „მოქალაქეები", „გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა", „დროა", „საქართველო", „ევროპელი დემოკრატები", „პროგრესი და თავისუფლება"* და *„ანა დოლიძე - ხალხისთვის"*.

37 ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 სექტემბრის მე-60 დადგენილების მეშვეობით რეგისტრაცია არ გაუუქმდათ იმ პროპორციულ სიებს, რომლებმაც ვერ შეასრულეს კანდიდატთა მოთხოვნილი მინიმალური რაოდენობის ვალდებულება ცალკეული კანდიდატების მიერ თავისი რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის გამო. 8 სექტემბრის 63-ე დადგენილებამ ხელი შეუწყო ან აღადგინა იმ კანდიდატთა რეგისტრაცია, რომელთაც ვერ შეასრულეს ფოტოსა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა, რადგან ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო ცესკოს ამომრჩეველთა სიაში.

38 კანონი ითვალისწინებს კამპანიის ჩატარებისთვის თანასწორ პირობებს, მათ შორის წვდომას საჯარო შენობა-ნაგებობებსა და ადგილებზე, სადაც სააგიტაციო მასალების განთავსებაა შესაძლებელი. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და ამომრჩევლის მოსყიდვა აკრძალულია. საჯარო მოხელეები, მასწავლებლები და საქველმოქმედო ორგანიზაციის თანამშრომლები არიან, მათ შორის ვისაც კამპანია სრულად ან სამუშაო საათებში ეკრძალებათ.

39 ორი პარტიის გარდა არჩევნებში მონაწილე ყველა პარტია არის სოციალურ ქსელში, უმთავრესად ფეისბუქზე. პარლამენტში მყოფი ყველა პარტია ყოველდღიურად აქვეყნებს პოსტებს მათი კანდიდატების, პროგრამებისა და კამპანიის საქმიანობის შესახებ და ყველა, გარდა ერთისა, იყენებს დასპონსორებულ მასალებს.

40 დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე მხარეებმა განაცხადეს, რომ ამომრჩევლებს, რომლებიც კამპანიის ღონისძიებას ესწრებოდნენ, არ სურდათ ფოტოს გადაღება/ფოტოში დაფიქსირება; ასევე ზოგიერთის განცხადებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები ღონისძიებებს აკვირდებოდნენ. 20 სექტემბერს თეთრიწყაროში *„ენმ"*-ის კანდიდატმა აღნიშნა, რომ ადამიანმა რომელიც საკუთარ თავს კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილედ წარმოადგენდა, ამომრჩევლებთან მათი შეხვედრა გადაიღო. ბათუმში, პარტიამ *„გახარია- საქართველოსთვის"* განაცხადა, რომ მათი კამპანიის ღონისძიების მონიტორინგის მიზნით დრონები გამოიყენეს.

მასშტაბით.[41] ქალები კამპანიაში მნიშვნელოვნად არ იყვნენ წარმოდგენილირამდენიმე შესამჩნევი გამონაკლისის გარდა, მეტწილად დედაქალაქში.

საარჩევნო კამპანია მთლიანობაში მშვიდი იყო და ყველა კანდიდატმა, რომელთაც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია შეხვდა, განაცხადა, რომ მათ კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა აქვთ, მათ შორის უმცირესობათა ენებზე; ამის მიუხედავად ცალკეულ ინდივიდებს შორის ძალადობისა და სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ერთეული შემთხვევები ისევე, როგორც სოციალურ ქსელებში გავრცელებული აგრესიული რიტორიკა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად გაძლიერდა.[42] პოლიტიკური გარემო უკიდურესად პოლარიზებული, ხოლო დისკურსი აგრესიული და კონფრონტაციულია.[43] კამპანია ხასიათდებოდა ოპოზიციისა და მმართველი პარტიის მხრიდან არაკეთილსინდისიერი საარჩევნო პრაქტიკის შესახებ გამოთქმული ურთიერთბრალდებებით; მმართველი პარტია ოპოზიციურ პარტიებს არჩევნების შემდგომი არეულობის დაგეგმვასაც აბრალებდა[44]. 19 აპრილის შეთანხმების შედეგად მმართველ პარტიასთან მიმართებით წარმოქმნილი 43 პროცენტიანი მხარდაჭერის ნიშნული დისკუსიის ძირითადი საკითხი იყო, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ხოლო ადგილობრივი საკითხები უფრო მეტად წარმოდგენილი იყო სასოფლო თემებში. მიუხედავად იმისა, რომ *„ქართულმა ოცნებამ“* 19 აპრილის შეთანხმება დატოვა, ბევრი აღნიშნულ არჩევნებს მმართველი პარტიის მხარდაჭერის განმსაზღვრელ ეროვნულ რეფერენდუმად აღიქვამს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისკენ მიმავალ გზად მიიჩნევს.

უკანასკნელ პერიოდში მთავრობამ წამოიწყო და დააანონსა რამდენიმე სოციალური და ეკონომიკური პროექტი, რომელიც პრემიერ მინისტრმა და სხვა მაღალი თანამდებობის

---

41 *„ქართული ოცნებამ“, „გახარია - საქართველოსთვის“, „ლელომ“, „მესამე ძალამ“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“, „ანა დოლიძე - ხალხისთვის“* და *„ევროპულმა საქართველომ“* დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიას შეატყობინეს მათი პარტიის პლაკატების დაზიანების შემთხვევების შესახებ.

42 20 სექტემბერს რუსთავში უცნობმა ადამიანმა თავდასხმა განახორციელა *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მხარდამჭერზე, ხოლო 21 სექტემბერს დმანისში *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* ორი მხარდამჭერი დაჭრეს. *„ქართულმა ოცნებამ“* ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიას შეატყობინა ორი შემთხვევის შესახებ, რომლის დროსაც *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მხარდამჭერები ქუთაისსა და ხელვაჩაურში სიტყვიერად დაუპირისპირდნენ *„ქართული ოცნების“* ლიდერებსა და საარჩევნო კამპანიის თანამშრომლებს. 25 სექტემბერს ცაგერში უცნობმა ადამიანებმა *„გახარია - საქართველოსთვის“* კანდიდატის მანქანას ესროლეს.

43 18 სექტემბერს თბილისში, თელავში, ქუთაისში, გორსა და რუსთავში გამოჩნდა ნიშნის არმქონე ბილბორდები, რომლებიც მათზე გამოსახული პოლიტიკოსების, ტელევიზიის მფლობელისა და ჟურნალისტის სისხლიან წარსულზე მიანიშნებდნენ. მედიის საშუალებით გაჟღერებული, განხეთქილების წარმომშობი ხშირი მითითებები მოიცავდა ღალატს, ნარკოტიკებზე დამოკიდებულებას და კორუფციას.

44 არჩევნების წინა ღამეს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც 2018 წელს დაუსწრებლად გამოუტანეს განაჩენი, საქართველოში შემოსვლის შემდგომ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს. ხელისუფლებამ მისი დაკავება დაახასიათა, როგორც მასშტაბური პროვოკაციისთვის ხელის შეშლა. 1 ოქტომბერს ქვეყნის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საარჩევნო პროცესის მშვიდობიანად ჩატარების მნიშვნელობას.

პირებმა წარადგინეს მმართველი პარტიის კამპანიის ღონისძიებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს პროექტების წამოწყებას არჩევნების თარიღის დანიშვნის შემდეგ და მთავრობამ განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტები არჩევნების თარიღის დანიშვნამდე დაიწყო, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის იმ კანონის სულისკვეთებასთან, რომელიც საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას კრძალავს.[45] აღნიშნულმა შემთხვევებმა მმართველ პარტიას ხელისუფლებაში ყოფნის გამო მინიჭებული უპირატესობით შეუსაბამოდ სარგებლობის შესაძლებლობა მისცა, რაც შეუთავსებელია 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პარაგრაფთან.[46]

ამომრჩევლებმა, კანდიდატებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა წარმოადგინეს ფართოდ გავრცელებული და თანმიმდევრული ბრალდებები ამომრჩევლის მოსყიდვასთან, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებასთან, დაშინებასა და ზეწოლასთან დაკავშირებით.[47] აღნიშნულმა გაზარდა წუხილი ამომრჩეველთა შესაძლებლობაზე, ხმა მისცენ „დასჯის შიშის გარეშე“; მსგავსი გარემო წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო

---

45 პრემიერ მინისტრმა მონაწილეობა მიიღო მმართველი პარტიის კამპანიის ღონისძიებებში, რომლებზედაც 40 მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის პროექტების შესახებ ინფორმაციას წარადგენდა. 30 აგვისტოს პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა იძულებით გადაადგილებულ პირებს 300 ბინას სიმბოლურ ფასად გადასცემდა, ხოლო 31 აგვისტოს განაცხადა, რომ 500 სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებლით.

46 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პარაგრაფი ამბობს, რომ „სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკვეთრი ზღვარი უნდა გადიოდეს“. 2016 წლის „საარჩევნო პროცესების დროს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მასზე რეაგირების დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპების“ II.B.1.3 პარაგრაფი აცხადებს, რომ „საარჩევნო პერიოდში მთავრობის ყოველდღიური საქმიანობა უნდა გაგრძელდეს. თუმცა, საარჩევნო კონკურენციისას თანაბარი პირობების ბალანსის დარღვევის მიზნით ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის, სამართლებრივი ჩარჩო უნდა აცხადებდეს, რომ საარჩევნო კამპანიის დროს არ უნდა გაკეთდეს განცხადებები ისეთი მნიშვნელოვანი ინიციატივების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ პარტიასთან ან კანდიდატთან ან მიზნად ისახავს კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის მიმართ ხელსაყრელი აღქმის ჩამოყალიბებას.“ სახელმძღვანელო პრინციპების II.B.1.1 პუნქტის თანახმად „სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს ეფექტური მექანიზმები, რათა საჯარო თანამდებობის პირებს აეკრძალოთ მათი პოზიციით წარმოქმნილი უპირატესობის არასამართლიანი გამოყენება საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ოფიციალური, საჯარო ღონისძიებების გამართვით, მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებების, ან ღონისძიებების, რომლებიც რომელიმე პარტიის ან კანდიდატისთვის ხელსაყრელი ან არახელსაყრელია.“

47 დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ თითქმის ყველა რეგიონში, იმერეთში, შიდა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში, აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მიიღო შეტყობინებები, რომელთა თანახმადაც მმართველი პარტია ამომრჩევლებსა და სხვა პარტიების პოტენციურ კანდიდატებს მხარდაჭერის სანაცვლოდ დაჰპირდა სამსახურს, საკვებით დახმარებასა და ნაღდ ფულს და სამსახურიდან გათავისუფლებითა და მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის სოციალური დახმარების მოხსნით დაემუქრა ოპოზიციურ კანდიდატებს, შემომწირველებს და მხარდამჭერებს. „*მესამე ძალის*“ კანდიდატმა სამტრედიაში საჯაროდ განაცხადა, რომ ის გაიტაცეს და აიძულებდნენ მოეხსნა კანდიდატურა. მისი მოთხოვნით საოლქო საარჩევნო კომისიამ კანდიდატურის მოხსნის პროცედურები არ განახორციელა და ის სიაში დარჩა. 1 სექტემბერს სახალხო დამცველმა გამოთქვა წუხილი არჩევნების წინა პერიოდში პოლიტიკური შეხედულებების გამო დასაქმებულთა სავარაუდო დისკრიმინაციული გათავისუფლების გამო. პარტიამ „*გახარია-საქართველოსთვის*“ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს შეატყობინა სამსახურიდან გათავისუფლებისა და კანდიდატებზე ზეწოლის 110-ზე მეტი შემთხვევის შესახებ.

სტანდარტებთან.[48] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე ბევრმა მხარემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია, დაშინების ფაქტები სათანადოდ არ გამოძიებულა.[49]

## ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

ეროვნული უმცირესობები ქვეყნის 13.2 პროცენტს შეადგენენ; ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფები არიან: ეთნიკური აზერბაიჯანელები (6.3 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი).[50] მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პირები უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ზოგიერთ რეგიონში მერობის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულოს კანდიდატებად იყრიან კენჭს, თბილისსა და სხვა რეგიონებში, სადაც უმცირესობები ცხოვრობენ, მათი მოსახლეობის ზომასთან შედარებით ისინი საკმარისად არ იყვნენ წარმოდგენილი.[51] ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები წარმოდგენილი იყვნენ პარტიული სიების უმეტესობაში, განსაკუთრებით ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონებში, მაგრამ არასაკმარისად იყვნენ წარმოდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატებად. პროცესში მონაწილე რამდენიმე მხარემ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ აღნიშნულ რეგიონებში ზოგიერთ

---

48 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პარაგრაფის მოთხოვნათა მიხედვით საარჩევნო კამპანია „სამართლიან და თავისუფალ გარემოში უნდა ჩატარდეს, რომელშიც ადმინისტრაციული ქმედება, ძალადობა ან დაშინება არ უზღუდავს პარტიებს ან კანდიდატებს საკუთარი შეხედულებების და კვალიფიკაციების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას ან არ უშლის ამომრჩევლებს ხელს გაეცნონ და განიხილონ აღნიშნული შეხედულებები და ხმა მისცენ დასჯის შიშის გარეშე". "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებით 1996 წლის ზოგადი კომენტარი N25"-ის მე-19 პარაგრაფი აცხადებს, რომ „ამომრჩევლებმა უნდა შეძლონ თავისი მოსაზრების დამოუკიდებლად, თავისუფლად, ძალადობის, ზემოქმედებისა, ზეწოლისა და რაიმე სახის მანიპულაციის გარეშე ფორმირება".

49 შინაგან საქმეთა სამინისტრომ 68 საქმეზე გამოძიება დაიწყო არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობისა და საკუთრების დაზიანების ფაქტებზე. პარტია „გახარია - საქართველოსთვის" საჩივრის საფუძველზე გამოძიება დაიწყო პარტიის 44 მხარდამჭერის დაშინების სავარაუდო ფაქტებზე.

50 ბოლო აღწერის მიხედვით სხვა ეროვნული უმცირესობების მოსახლეობის შემდეგ პროცენტს შეადგენენ: რუსები 0.7 პროცენტი, ოსები 0.4 პროცენტი, იეზიდები 0.3 პროცენტი, უკრაინელები 0.2 პროცენტი, ქისტები 0.2 პროცენტი, ბერძნები 0.1 პროცენტი, ასურელები 0.1 პროცენტი და სხვა ჯგუფები 0.4 პროცენტი. აღწერა არ მოიცავდა ხელისუფლების კონტროლს მიღმა არსებულ ტერიტორიებს (2014 წ.). ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად მუნიციპალიტეტებში მერობის კანდიდატებს შორის ექვსი სომხურენოვანი, სამი აზერბაიჯანულენოვანი და ერთი სხვა ენაზე მოსაუბრეა; თბილისის მერობის ერთი კანდიდატი არის სხვა ენაზე მოსაუბრე. მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის 102 აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობს (2 ქალი), 100 სომხურ ენაზე (17 ქალი) და 13 სხვა ენაზე (6 ქალი). პარტიული სიების კანდიდატებს შორის 472 აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობს (80 ქალი), 559 სომხურ ენაზე (225 ქალი) და 150 სხვა ენაზე (85 ქალი).

51 ეროვნული უმცირესობებიდან მერობის რამდენიმე კანდიდატი წარმოდგენილია ახალქალაქში, ნინოწმინდასა და მარნეულში, მაგრამ მწირედ უმცირესობებით დასახლებულ სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში. ეროვნული უმცირესობებიდან ასევე კენჭს იყრიან როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულოს კანდიდატებად ბევრ, მაგრამ არა ყველა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში.

კანდიდატზე ხორციელდებოდა ზეწოლა კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნის მიზნით.[52] ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები კამპანიაში მნიშვნელოვნად არ იყო წარმოდგენილი, გარდა ინტეგრაციის, ახალგაზრდების განათლებისა და სახელმწიფო ენის დაუფლების მხარდამჭერი ადგილობრივი მნიშვნელობის გზავნილებისა.

ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური სომხები შედარებით კარგად არიან წარმოდგენილი საოლქო და საუბნო კომისიებში. ეთნიკური აზერბაიჯანელები საოლქო კომისიის მხოლოდ რამდენიმე წევრით არიან წარმოდგენილი, მაგრამ კარგად წარმოდგენილი არიან ეთნიკური აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების ზოგიერთ საუბნო კომისიაში; თუმცა შესამჩნევია გენდერული თანასწორობის ნაკლებობა, რადგან წევრები უმეტესად კაცები არიან.[53] კანონის შესაბამისად ამომრჩეველთა სიები, ბიულეტენები, ოქმები და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი ითარგმნა უმცირესობათა ენებზე უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებულ საუბნო კომისიებში. აღნიშნულ რეგიონებში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიებს ტრენინგები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაუტარა.

## წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონით, საარჩევნო კოდექსით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ კანონითა და ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სხვა ქვემდებარე სამართლებრივი აქტებით რეგულირდება. 2020 წელს განხორციელებული ცვლილებებით დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ მანამდე გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია შესრულდა. მათ შორის, რეგულაციების დამოუკიდებელ კანდიდატებზე გავრცობა, საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების კანონით მოთხოვნა, ჯარიმების გაზრდა და მესამე მხარის მიერ სახსრების ხარჯვისთვის სანქციების დაწესება. კვლავაც შეუსრულებელია სხვა რეკომენდაციები, მათ შორის შემოწირულებებისა და ხარჯების ლიმიტების შემცირებას, არჩევნების დღემდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შუალედურ ანგარიშებზე დასკვნების გამოქვეყნების და კამპანიის დაფინანსების

[52] *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* განაცხადა, რომ კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნის მიზნით ზეწოლა განხორციელდა ერთ ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატზე ყარაჯალაში; რამდენიმე ეთნიკურად სომეხ კანდიდატზე ახალქალაქში, დილისკასა და ბეჟანოში, ისევე როგორც ნინოწმინდაში. მედიის ცნობით კანდიდატურის მოხსნის მიზნით ზეწოლა განხორციელდა რამდენიმე ეთნიკურად სომეხ კანდიდატზე *(„ევროპული საქართველო“, „გახარია - საქართველოსთვის“, „ლელო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)* ახალქალაქსა და ნინოწმინდაში და რამდენიმე ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატზე (*„გახარია -საქართველოსთვის“, „ევროპული საქართველო“*) კაზალსა და ყარაჯალაში. გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის ორ სავარაუდო საქმეზე.

[53] ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 12 საარჩევნო უბანზე საოლქო კომისიის სამი წევრი იყო აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე (კაცი), 15 კი სომხურ ენაზე მოსაუბრე (13 ქალი), მათ შორის ორი თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი სომხურ ენაზე მოსაუბრე წევრებს შორის.; 643 იყო აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე საუბნო კომისიის წევრი (104 ქალი) და 633 სომხურ ენაზე მოსაუბრე საუბნო კომისიის წევრი (328 ქალი).

ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.[54] ზოგადად, საკანონმდებლო ხარვეზები და მარეგულირებელი ჩარჩოს აღსრულების შეზღუდული შესაძლებლობები ზეგავლენას ახდენს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე.

საპარლამენტო პოლიტიკური პარტიები ყოველწლიურ სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებას წინა საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობის პროპორციულად იღებენ, რომელიც შემდგომ ასევე შესაძლებელია კამპანიის მიზნებისთვის დაიხარჯოს.[55] 2021 წლის ცვლილებების თანახმად პარტიას სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსება ჩამოერთმევა იმ შემთხვევაში, თუ ის პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტს დაკარგავს ან იმ შემთხვევაში, თუ პარტიის წევრები არ დაესწრებიან პარლამენტის რეგულარული პლენარული სესიების ნახევარზე მეტს.[56] ფიზიკური პირის მიერ ყოველწლიურად გაღებული შემოწირულება არ უნდა აღემატებოდეს 60,000 ლარს, ხოლო იურიდიული პირის მიერ გაღებული შემოწირულება კი არ უნდა აღემატებოდეს 120,000 ლარს.[57] შემოწირულებები არ შეიძლება განხორციელდეს ანონიმურად, შუამავლების მეშვეობით ან იმ დონორების მიერ, რომელთა აღრიცხული შემოსავალი არ მიიჩნევა საკმარისად.[58] საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისა და დაფინანსების წყაროებს შორის თვალსაჩინო უთანაბრობა მხარეებს უთანასწორო საასპარეზო პირობებში აყენებდა.[59]

საარჩევნო სუბიექტებს შეუძლიათ დახარჯონ 15 ლარამდე თითო ამომრჩეველზე, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით, პარტიებისთვის დაახლოებით 50 მილიონი ლარია წლიურად,

---

[54] იხ. GRECO-ს ანგარიშები საქართველოსთან დაკავშირებით და ასევე ეუთოს იხ.დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო ანგარიშები.

[55] პარტიები პირველი 50, 000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარს იღებენ, ყოველ დამატებით ხმაზე კი - 5 ლარს. 2021 წლისთვის 14 მილიონი ლარი გამოიყო 14 საპარლამენტო პარტიისთვის, მათ შორის დაახლოებით 5 მილიონი *„ქართული ოცნებისათვის“*, 2 მილიონი *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“*, თითო მილიონი *„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“*, *„პატრიოტთა ალიანსისა“* და *„სტრატეგია აღმაშენებლისთვის“*, 780,000-780,00 ლარი*„ლელოსა“* და *„გირჩისთვის“*, ნახევარ-ნახევარი მილიონი *„მოქალაქეებისთვის“* და *„ევროპელი დემოკრატებისთვის“*, 240,000 ლარი *„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“*, 290,000 ლარი *„ლეიბორისტული პარტიისთვის“*, 200,000 ლარი *„რესპუბლიკური პარტიისთვის“*, 100,000 ლარი *„კანონი და სამართლისთვის“* და 12,000 ლარი *„პროგრესი და თავისუფლებისთვის“*.

[56] ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის თებერვლიდან. ვენეციის კომისიამ და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა საქართველოს საარჩევნო კოდექსში, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის თაობაზე მომზადებულ ერთობლივ სასწრაფო დასკვნაში შესატანი ცვლილებების გადახედვის რეკომენდაცია გასცეს.

[57] 1 ევრო უდრის 3,7 ლარს. შემოწირულებები შესაძლოა გაღებული იყოს ფულადი ან არამატერიალური სახით. აკრძალულია შემოწირულებების მიღება საჯარო და არაკომერციული იურიდიული პირების, რელიგიური ორგანიზაციების, უცხოური წყაროებისა და ზოგიერთი კატეგორიის საჯარო კონტრაქტორისგან.

[58] კამპანიის ხარჯებთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია უნდა განხორციელდეს კამპანიისთვის გამოყოფილი ანგარიშიდან (ფონდი), ხოლო ფულადი შემოწირულებები, მიუხედავად თანხის ოდენობისა, უნდა გადაირიცხოს დონორის საბანკო ანგარიშიდან.

[59] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, *„ქართულმა ოცნებამ“* მიიღო 7,700,145 ლარი, *„ლელომ“* – 796,500 ლარი, *„გახარია-საქართველოსთვის“* – 704,120 ლარი, *„ენმ“* – 521,327 ლარი, *„ევროპულმა საქართველომ“* – 330,974 ლარი, *„მოქალაქეებმა“* – 213,348 ლარი, *„პატრიოტთა ალიანსმა“* – 126,400 ლარი, *„ლეიბორისტულმა პარტიამ“* – 24,600 ლარი მიიღო.

რაც მოიცავს წლის განმავლობაში მესამე მხარის მიერ გაწეულ ყველა გასავალსა და ხარჯს.[60] განსხვავებით დამოუკიდებელი კანდიდატებისა, პარტიებს არ აქვთ ვალდებულება მათი კამპანიის მიზნებისთვის ახალი საბანკო ანგარიში გახსნან, თუმცა მათ კამპანიასთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია უნდა განახორციელონ მათი კუთვნილი ერთი-ერთი ანგარიშიდან მაშინ, როცა დამოუკიდებელ კანდიდატებს ევალებათ კამპანიისთვის განკუთვნილი სპეციალური ანგარიშის გახსნა. პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატები ვალდებულნი არიან გამოიყენონ მხოლოდ პარტიის ფინანსები, შესაბამისად მათ არ აქვთ ცალკე დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება. თუმცა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებლებს ეცნობათ, რომ მათ პარტიის წარდგენილმა კანდიდატებმა კამპანიის ხარჯები პირდაპირ დაფარეს, ისე რომ გვერდი აუარეს კამპანიის ფონდს და დეკლარირების ვალდებულებებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსებაზე ზედამხედველობის განხორციელების მანდატი გააჩნია.[61] სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სულ 48 პარტიამ და 38-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა პირველი და მეორე შუალედური ანგარიშები წარუდგინა, რომლებიც კანონის მოთხოვნის შესაბამისად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიღებიდან 5 დღეში თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა. ზოგიერთმა მონაწილემ ნულოვანი ბრუნვა წარადგინა, ხოლო რამდენიმე პარტიამ და დამოუკიდებელმა კანდიდატმა ვერ შეასრულა ანგარიშების დროული გაგზავნის მოთხოვნა.[62] იმ მონაწილეებს, რომლებმაც ანგარიშების დროულად წარდგენის ვალდებულება შეასრულეს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არ დააკისრა სანქციები.არჩევნების წინა დღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა ფინანსური ანგარიშების შესახებ შუალედური დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ კანონით არ არის სავალდებულო, გვიან გამოქვეყნებამე ზეგავლენა მოახდა კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაცხადა, რომ მას არ აქვს არც საგამოძიებო უფლებამოსილება და არც საკმარისი რესურსი დაუდეკლარირებელი შემოსავლებისა და ხარჯების დასადგენად და აცნობა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს, რომ პოლიტიკური ფინანსების აუდიტი მათ ინტერესთა შეუთავსებლობის წინაშე აყენებს, ვინაიდან მათი დაფინანსება დამოკიდებულია

---

60 პარტიისთვის წლიური საარჩევნო ხარჯების საერთო ოდენობის ზედა ზღვარი გასული წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,1 პროცენტია. დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატისთვის პოლიტიკური პარტიის ხარჯების ზედა ზღვარი ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა რაოდენობაზე უნდა გაიყოს და მიღებული რიცხვი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობაზე უნდა გამრავლდეს.

61 საარჩევნო სუბიექტები ვალდებულნი არიან მიღებული შემოწირულებების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აცნობონ და არჩევნების ჩატარების თარიღის გამოცხადებიდან ყოველ სამ კვირაში ერთხელ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შუალედურ ანგარიში ჩააბარონ. შუალედური ანგარიშების ჩაბარება ასევე უნდა მოხდეს არჩევნების ჩატარების დღიდან 12 დღის ვადაში და მეორე ტურის ჩატარების დღემდე სამი დღით ადრე იმ საარჩევნო სუბიექტებისთვის, რომლებიც მეორე ტურში მონაწილეობენ.

62 პირველ შუალედურ ფინანსურ ანგარიშებიდან 48 პარტიიდან 24-მა, ხოლო 42 დამოუკიდებელი კანდიდატიდან 38-მა წარადგინა ნულოვანი ბრუნვა. ჯამში, 21-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა ვერ წარადგინა პირველი შუალედური ფინანსური ანგარიში, ხოლო მეორე ფინანსური შუალედური ანგარიში ექვსმა პარტიამ და 24-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა არ წარადგინა.

პარლამენტზე და, შესაბამისად, იმ პარტიებზე, რომლებსაც ისინი უტარებენ აუდიტს.[63] სახელმწიფო აუდიტის სამსახური შესაძლო დარღვევების გამოვლენას საარჩევნო კამპანიისთვის გახსნილ საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმების, საველე ვიზიტებისა და საჩივრების მიღების მეშვეობით ახდენს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიიღო ოთხი საჩივარი ძირითადად შუამავლების მეშვეობით მიღებული შესაძლო შემოწირულებების თაობაზე [64] . დღემდე არცერთი საქმე არ გადაგზავნილა სასამართლოში.

## მედია

მრავალფეროვანი მედიაგარემო მეტისმეტად პოლარიზებულია და მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებულ განხეთქილებას ასახავს. ტელევიზია მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ რჩება, თუმცა მყარდება ონლაინ მედიის პოზიციაც, ძირითადად ურბანულ ცენტრებში. შედარებით მცირერიცხოვანი აუდიტორიისა და შეზღუდული სარეკლამო ბაზრის გამო, რაც COVID-19-ის პანდემიის ფინანსურმა შედეგებმა დაამძიმა, კვლავ გამოწვევად რჩება მედიის სიცოცხლისუნარიანობა.

მედიის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო გამოხატვისა და მედიის თავისუფლებისთვის მყარ საფუძველს ქმნის, თუმცა ჟურნალისტების სავარაუდო დაშინებისა და მუქარის ბოლოდროინდელი შემთხვევების გამო გაუარესებული მედიაგარემო შეშფოთებას იწვევს მედიის უსაფრთხო და დაცულ გარემოში ფუნქციონირების შესაძლებლობის გამო და თვითცენზურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.[65] რამდენიმე ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ იმატა მედიის წინააღმდეგ მიმართულმა აგრესიულმა პოლიტიკურმა რიტორიკამ, რაც, მათი აზრით, მედიის როლის დელეგიტიმაციას ისახავს მიზნად. მთავრობისა და მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკულად განწყობილი რამდენიმე მედია საშუალების მფლობელების სასამართლო პროცესები საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განახლდა, რაც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისთან საუბრისას პროცესში მონაწილე

---

[63] 2021 წელს საარჩევნო სუბიექტებს შეზღუდული რაოდენობის სანქციები დაეკისრათ მათ შორის 77, 920 ლარით დაჯარიმდა *„ლელო“* არაკანონიერი შემოწირულების მიღებისთვის, ˜-10 000 ლარით დაჯარიმდა პარტია *,,ქართული არჩევანი‘‘* 2020 წლის კამპანიის ფინანსური ანგარიშის და წლიური ფინანსური დეკლარაციის წარუდგენლობისათვის. პოლიტიკურ პარტიებს, *„დემოკრატიული განახლება“* და *„საქართველოს დამცველთა ერთიანობა“*, სანქციის სახით გაფრთხილებები მიეცათ.

[64] სამი საჩივარი შეიტანეს ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული ბილბორდების თაობაზე და 92 შემომწირველზე სამცხე ჯავახეთში , რომლებმაც 2-დან 16 აგვისტომდე პერიოდში ჯამში 714,000 ლარი შესწირეს *“ქართულ ოცნებას“.* სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა რელიგიური ორგანიზაცია *„ბიბლიური თავისუფლების“*შემოსავლების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით, რათა დაედგინა *„გირჩის“* საოლქო კომისიების წევრების პოზიციებისთვის გამოცხადებული აუქციონით მიღებული შესაძლო შემოსავლები.

[65] მედიის წარმომადგენლებზე ძალადობრივი თავდასხმის ყველაზე მძიმე ეპიზოდი, მედიის 53 წარმომადგენლის წინააღმდეგ, 2021 წლის 5 ივლისს *თბილისი პრაიდის* კვირეულის მიმდინარეობისას მოხდა. ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში დაგმო აქციებზე მომუშავე ჟურნალისტებზე ძალადობა და ხელისუფლებას ბოლო წლებში ქვეყანაში მედიის წარმომადგენლებზე ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის ყველა ინციდენტის გამოძიების დასრულებისკენ მოუწოდა.

რამდენიმე მხარემ კრიტიკულ მედიაზე მართლმსაჯულების სისტემის მეშვეობით განხორციელებულ ზეწოლად შეაფასა.[66]

სამართლებრივი დებულებები ადგენს, რომ როგორც საზოგადოებრივმა, ისე კერძო მაუწყებლებმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველა რელევანტური მოსაზრების პლურალისტური და არადისკრიმინაციული გაშუქება უნდა უზრუნველყონ მიუკერძოებლობისა და სამართლიანი გაშუქების პრინციპების დაცვით და ასევე ადგენს საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნების წესებს. სამართლებრივი დებულებები ასევე ყველა ეროვნულ მაუწყებელს ავალდებულებს თანაბრად გამოუყონ პოლიტიკურ პარტიებს უფასო საეთერო დრო და უზრუნველყონ ფასიანი რეკლამის თანაბარი პირობები. კანონი ასევე ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებლებს მოაწყონ დებატები არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის. საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების პროცედურაზე პასუხისმგებელი ორგანო კომუნიკაციების კომისიაა, რომელმაც საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნების რვა და ორი დარღვევა ორი პოლიტიკური პარტიის რეკლამის ეთერში გაშვებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გამოავლინა. [67]

წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით უფასო საეთერო დროის მიღების უფლება თოთხმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ მოიპოვა. თერთმეტმა მათგანმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით.[68] *„საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“* (GPB) ორჯერ გამართა დებატები: 14 სექტემბერს, რომელზედაც მიწვეული იყო ყველა საარჩევნო სუბიექტი და 21 სექტემბერს, რომელში მონაწილეობაზეც თბილისის მერობის ყველა კანდიდატი დათანხმდა.[69] ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის სხვა დებატები

---

[66] სექტემბერში ტელეკომპანია *„ფორმულას“* მფლობელი და *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* პერიოდის თავდაცვის მინისიტრი, დავით კეზერაშვილი, თანხის მითვისებასა და გაფლანგვაში დამნაშავედ ცნეს მაშინ, როცა მისი საქმის მოსამართლე უზენაეს სასამართლოში თავდაპირველად ამავე საქმის პროკურორი იყო. *„მთავარი არხის“* დირექტორის, ნიკა გვარამიას, მიმართ სამართლებრივი დევნა თანხის მითვისებისა და გაფლანგვის ბრალდებით, ტელეკომპანია *„პირველის“* მფლობელის ნათესავის, ავთანდილ წერეთლის, მიმართ კი, ფულის გათეთრების ბრალდებით მიმდინარეობს. ამ საქმეების წარმოება შესაბამისად 2012 და 2019 წლებში დაიწყო.

[67] ტელეკომპანია *„იმედმა“* უარი თქვა *„ევროპული საქართველოს“* და *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* რეკლამების განთავსებაზე. საერთო ჯამში, კომუნიკაციების კომისიამ 8 ტელეარხს სამართალდარღვევის 11 ოქმი შეუდგინა (ეს არხებია: *„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი და რადიო“, „იმედი“, „პირველი“, „ფორმულა“, „რუსთავი 2“, „ობიექტივი“ და „სტუდია მაესტრო“).*

[68] 4 კვალიფიციური პარტიაა: *„ქართლი ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „პატრიოტთა ალიანსი', „საქართველო“, „ლელო“, „გირჩი“, „მოქალაქეები“, ევროპელი დემოკრატები“, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „ლეიბორისტული პარტია“, „რესპუბლიკური პარტია“, „კანონი და სამართალი“.* თერთმეტმა მათგანმა საზოგადოებრივი და კერძო ტელეარხების მიერ მათთვის გამოყოფილი უფასო საეთერო დროის გამოყენება გადაწყვიტა. „არაკვალიფიციურმა“ პოლიტიკურმა პარტიებმა არსებითად მცირე უფასო საეთერო დრო მიიღეს. ისიც, მხოლოდ საზოგადოებრივ მედია საშუალებებში.

[69] მიუხედავად ამისა დებატებში მონაწილეობას მხოლოდ 10 უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტი დათანხმდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა მოქმედი მერისა და მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკული შენიშვნების გაკეთების შემდეგ დებატები დატოვა.

არ გამართულა. თუმცა რამდენიმე თოკ-შოუმ ძირითად საარჩევნო სუბიექტს პლატფორმის წარმოდგენის და ოპონენტების გაკრიტიკების შესაძლებლობა მისცა.[70]

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ გაშუქება მალზედ შერჩევითი იყო და ამომრჩეველს მხოლოდ შეზღუდულად წარმოუდგენდა პოლიტიკურ ალტერნატივებს. ზოგადად, ეროვნული სატელევიზიო არხების გაშუქება მალზედ ვრცელი იყო და ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა სამ პარტიაზე - *„ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „გახარია - საქართველოსთვის“*, და ასევე მთავრობაზე. საერთო ჯამში მათ მიიღეს მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო გაშუქების 68 პროცენტი. გაშუქება ძირითადად მამაკაც კანდიდატებზე იყო ორიენტირებული. ქალებს კი მთელი საეთერო დროის მხოლოდ 15 პროცენტი დაეთმოთ. გაშუქების უმეტესი ნაწილი დაეთმო საარჩევნო სუბიექტების ურითიერთბრალდებებს, ანალიტიკური და საგამოძიებო გაშუქება კი ძალიან შეზღუდული იყო, რაც მეტისმეტად შეზღუდულ დროს ტოვებდა მნიშვნელოვანი საკითხების,

არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ძირითადი კერძო სატელევიზიო არხების გაშუქება მათ პოლიტიკურ ვექტორს ასახავდა. ორი კერძო მაუწყებელი, *„მთავარი არხი“* და *„პირველი“* თვალნათლივ ავლენდა *„ქართული ოცნების“* წინააღმდეგ მიკერძოებას. მთავრობამ და მმართველმა პარტიამ საერთო საეთერო დროის 29 პროცენტი მიიღო, რომლიდანაც 85 პროცენტი ნეგატიური იყო. ზემოთ აღნიშნულის საპირისპიროდ, *„იმედი“* „ქართული ოცნებისა“ და მთავრობის მხარდაჭერას ავლენდა, გამოუყვეს რა მათ, შესაბამისად, გაშუქების 66 პროცენტი, რაც უმეტესწილად პოზიტიური იყო (91 პროცენტი). *„იმედმა“ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“* გაშუქების 16 პროცენტი გამოუყო, აქედან 79 პროცენტი ნეგატიური იყო. *„რუსთავი 2“*-ის საარჩევნო გაშუქება ძირითადად მმართველ პარტიაზე იყო იყო ორიენტირებული (55 პროცენტი) და მას ხშირად დადებითად წარმოაჩენდა (71 პროცენტი); ოპოზიციურ პარტიებს კი ზოგადად ნეიტრალურად აშუქებდა. ზოგიერთო რეგიონალური სატელევიზიო არხი ეროვნული არხებთან შედარებით პოლიტიკასა და შეთავაზებებზე იყო ფოკუსირებული, რაც პოლიტიკურ ძალებს უმეტესწილად დაბალანსებულად წარმოაჩენდა. ზოგიერთმა მათგანმა ადგილობრივ კანდიდატებს შორის დებატებიც გამართა.

საზოგადოებრივმა სატელევიზიო არხებმა, *„საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“* და *„აჭარამ“* , თანაბარი ოდენობის, უმეტესწილად ნეიტრალური, გაშუქება დაუთმო ძირითად საარჩევნო სუბიექტებს. *„აჭარამ“* უზრუნველყო ადგილობრივი საარჩევნო კამპანიების ვრცელი გაშუქება, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო კონკრეტულ საკითხებსა და კანდიდატების შეთავაზებებზე. ორივე არხმა მთავრობა ისე გააშუქა, რომ რიგ შემთხვევებში ინსტიტუციურ და საარჩევნო აქტივობებს შორის გამყოფი ხაზი არ გაუვლია.

---

70 მთავარ კერძო არხებს ძირითადი პარტიების მონაწილეობით დებატების გამართვა სურდათ, თუმცა მნიშვნელოვანმა საარჩევნო სუბიექტებმა მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2007)15 მე-2 პარაგრაფის მე-2 ნაწილი მოუწოდებს წევრს სახელმწიფოებს „მიიღონ ზომები, რომელთა მიხედვითაც საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებს, საარჩევნო პერიოდში, უნდა იყვნენ განსაკუთრებით სამართლიანი, დაბალანსებული და მიუკერძოებელი მათი ახალი ამბებისა და მიმდინარე მოვლენების პროგრამებისას, მათ შორის სადისკუსიო პროგრამებში, როგორიცაა ინტერვიუები და დებატები“.

## საჩივრები და სარჩელები

საჩივრებისა და სარჩელების განხილვის მექანიზმი დავების ეფექტური გადაწყვეტის გზაა, მაგრამ საჭიროებს დამატებით გარანტიებს სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალებებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამომრჩეველთა მიერ შეტანილი საჩივრების ტიპებზე დაწესებული შეზღუდვები არ შეესაბამება ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.[71] საჩივრები საარჩევნო კომისიებში უნდა გადაიგზავნოს. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ, ზოგიერთი ტიპის საჩივრებზე გადაწყვეტილებები შესაძლოა კვლავაც თავმჯდომარეებმა გამოიტანონ და არა საარჩევნო კომისიებმა, როგორც კოლეგიურმა ორგანოებმა. თუმცა, დადებითი მოვლენაა, რომ მათი გადაწყვეტილებები, მათ შორის დაუშვებლობის შესახებ, შეიძლება შემდგომ გასაჩივრდეს.[72] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე ბევრმა მხარემ დაბალი ნდობა გამოხატა საარჩევნო კომისიების, სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ მათ მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით.[73]

ცენტრალური საარჩევნო კომისია, გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, პასუხისმგებელია საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში შეტანილი საჩივრებისა და სარჩელების მონაცემთა ბაზის საჯარო ხელმისაწვდომობაზე. ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად საჩივრების შეტანა შესაძლებელი იყო როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით ონლაინ პლატფორმაზე დარეგისტრირებულ კანდიდატების და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, ზოგიერთი სხდომა კი ონლაინ რეჟიმში/დისტანციურად ჩატარდა, რამაც ხელი შეუწყო სამართლებრივი

---

71 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10 პარაგრაფის მიხედვით "ყველას უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური საშუალებები, რათა დაცული იყოს ფუნდამენტური უფლებები და კანონის მთლიანობა. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მუხლი 2.3(ა) ამბობს, რომ „ნებისმიერ პირს, რომლის წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებებიც დაირღვა, უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით". ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის კოდექსის II.3.3.3f. სექცია ადგენს, რომ „ყველა კანდიდატსა და საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების უფლება".

72 კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ამ არჩევნებისთვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი დაფუძნდა, რომლის მანდატიც ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების თაობაზე შედგენილი საჩივრების განხილვა და შესასრულებლად არასავალდებულო რეკომენდაციების გაცემაა. გარდა ამისა, 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად, დაფუძნდა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელშიც სახალხო დამცველის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან. ამ ჯგუფმა მისთვის განსაზღვრული მანდატით დავების გადაწყვეტილებების შესახებ რეკომენდაციები უნდა გასცეს. 19 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ჯგუფის 12-დან 7 წევრის გასვლის შემდეგ, ეს ჯგუფი დაშალა, რადგან აღარ დგებოდა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი, რომელსაც 9 წევრი ადგენს.

73 დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მეოთხე ანგარიში საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში შეიმჩნევა ნდობის ნაკლებობა სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობისადმი.

დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობას. გარკვეული ტიპის საჩივრის მომზადებისა და განხილვის ვადები შესაბამისად გახანგრძლივდა ერთიდან ორ დღემდე და ორიდან ოთხ დღემდე, რაც საჩივრების სათანადოდ მოსამზადებლად და განსახილველად საკმარის დროს იძლევა და ნაწილობრივ ითვალისწინებს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მანამდე გაცემულ რეკომენდაციას. თუმცა, საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დისციპლინური სანქციების დაწესების მოთხოვნით მომზადებული საჩივრების განსახილველად 30-დღიანი ვადაა დაწესებული, რაც არ წარმოადგენს სამართლიანი დაცვის დროულ საშუალებას.

არჩევნების დღემდე საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 446 საჩივარი შევიდა, მათ შორის 256 საარჩევნო სუბიექტებმა, 190 კი ადგილობრივმა დამკვირვებლებმა შეიტანეს.[74] მათ შორის 240 საჩივარზე მეტი *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ"* შეიტანა ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა დანიშვნისა და შვიდ საოლქო საარჩევნო კომისიაში გადასატანი საარჩევნო ყუთის სიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.[75] დაახლოებით ათი საჩივარი შევიდა კანდიდატებისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. [76] დაახლოებით 40 საჩივარი მომზადდა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების თაობაზე, უმეტესწილად საჯარო მოხელეების მიერ სოციალური ქსელის პირად გვერდებზე სამუშაო საათებში პარტიის მხარდამჭერი პოსტების გამოქვეყნების თაობაზე ან ძირითადად *„ქართული ოცნების"* მიერ გამართულ საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე დასწრებასთან დაკავშირებით. [77]

---

[74] მათ შორის *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", „ქართლი ოცნების", „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", „საერთაშორისო გამჭვირვალობის", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების"* და *„დემოკრატიული ცვლილებების ცენტრის"* მიერ. *„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ"* 28 საჩივარი შეიტანა ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ უმეტესწილად პროცედურული დარღვევების თაობაზე.

[75] „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" გამოთქვა ვარაუდი, რომ დაახლოებით 12 საოლქო საარჩევნო კომისია და 5,448 საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრი *„ქართული ოცნების"*მხარდამჭერები იყვნენ, ძირითადად იმის გამო, რომ ისინი საჯარო მოხელეთა ნათესავები იყვნენ, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს; და ასევე იმის თაობაზე, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია 7 საოლქო საარჩევნო კომისიაში არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს; მათ შორის, განმცხადებელთა ხელმოწერები შესაძლოა გაყალბებული ყოფილიყო.

[76] „თავისუფალმა საქართველომ" და „გირჩმა" საჩივრები შეიტანეს მათი კანდიდატების რამდენიმე სიისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე მაშინ, როცა 7 საჩივარი დაიწერა კანდიდატებისა და პარტიული სიების რეგისტრაციის წინააღმდეგ. ერთის გარდა ყველა საჩივარი არსებითად განხილული და უარყოფილი იყო. პარტიებმა *„ახალი ქრისტიან-დემოკრატები", „ლელო", „სტრატეგია-აღმაშენებელი", „გახარია-საქართველოსთვის", „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „რეფორმატორები"* იდენტური საჩივრები შეიტანეს „ქართული ოცნების" კანდიდატების წინააღმდეგ, რომლებმაც ერთმანეთს საარჩევნო ოლქები შეიცვალეს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, *„ახალგაზრდული ცენტრი - ჩვენი თაობა 1921"*, საჩივარი შეიტანა *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"* რამდენიმე სიის დარეგისტრირების წინააღმდეგ. ყველა 7 საჩივარი სავარაუდო ტექნიკური ხარვეზებით შევსებულ რეგისტრაციის დოკუმენტებს შეეხებოდა. ერთ შემთხვევაში დარეგისტრირდა *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"* ერთი სია, რომელსაც თავიდან რეგისტრაციაზე უარი ეთქვა.

[77] საჩივრების ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების თაობაზე შეიტანეს: *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ", „ევროპულმა საქართველომ", „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", „საერთაშორისო გამჭვირვალობამ", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ", „საერთო სამოქალაქო მოძრაობამ - მრავალეროვანი საქართველო"* და *„დემოკრატიული ცვლილებების ცენტრმა"* . *„ქართულმა ოცნებამ"* გამოიყენა ბათუმის წყალმომარაგების კომპანიის

დაახლოებით 190 საჩივარი, რომლებიც საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ ჩადენილ სავარაუდო დარღვევებს შეეხებოდა, განხილვის 30-დღიან ვადას დაექვემდებარა და არჩევნების დღემდე არ განხილულა, რაც არ წარმოადგენს სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალებას. განხილული შემთხვევების უმეტესობა არსებითად უარყოფილი იყო დაუსაბუთებლობის გამო.[78] ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სასამართოებმა საჩივრები ჯეროვნად, ღია სხდომებზე განიხილეს, გადაწყვეტილებები კი დროულად გამოქვეყნდა.[79] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის ცნობილი გახდა, რომ რვა საჩივარი დაკმაყოფილდა.[80] სულ 12 სარჩელი შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოში ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.[81] სამის გარდა ყველა სარჩელი, რომლებიც ღია სხდომებზე განიხილეს, არსებითად განხილული და უარყოფილი იყო.[82] თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილი ორივე სარჩელი უარყოფილი იყო.[83]

კუთვნილი ავტომანქანები; ქ. ამბროლაურის მერი - *„ქართული ოცნების“* კანდიდატის შეხვედრა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან; საჯარო რეესტრის ეროვნულმასააგენტომ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადება გამოაქვეყნა, რაც *„ქართული ოცნების“* სააგიტაციო მიზანს ემსახურებოდა; ქუთაისის მერი - „ქართული ოცნების“ კანდიდატი შეხვდა მასწავლებლებს.

[78] დაახლოებით 55 საჩივარი შეიტანა *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, *„პროფესიული განათლების ცენტრი“*, ქ. სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ და გამოთქვა ვარაუდი, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები გამოქვეყნება არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს, მაგრამ არ აღწერა დარღვევა.

[79] ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სამოქალაქო საზოგადოების ორი ორგანიზაციისა და *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მიერ შეტანილი საჩივრის განხილვისას, რომელიც კანონით მოთხოვნილი სიმბოლოების არქონისა და სიძულვილის გაღვივების გამო ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული ბილბორდების ჩამოხსნას შეეხებოდა, კანონის ვიწრო განმარტებით იხელმძღვანელა. მან საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ ბილბორდების განთავსების საფასური კერძო პირმა გადაიხადა, რომელიც არ იყო საარჩევნო სუბიექტი და, შესაბამისად, ისინი საარჩევნო კამპანიის მასალადაც არ მიიჩნია.

[80] დაკმაყოფილებული საჩივრები მოიცავს რეგისტრაციამოხსნილი კანდიდატისთვის რეგისტრაციის აღდგენას, ორი კანდიდატისთვის უფლების მიცემას, შეეცვალათ საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კამპანიის პლაკატების ჩამოხევის ფაქტებს, რომლებიც გამოძიების მიზნით პოლიციას ეცნობა..

[81] მათ შორის, ერთი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ, რომელმაც საჩივარი შეიტანა *„მწვანე დედამიწისთვის“* საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, ერთი სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ *„სამოქალაქო პლატფორმა 20/20“*-მა საარჩევნო უბნებზე ვიდეოგადაღების წინააღმდეგ, ორი *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* საოლქო საარჩევნო კომისიისების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების პირისპირ გასაუბრების გარეშე დანიშვნისა და მე-18 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ოლქების საზღვრების განსაზღვრის თაობაზე.

[82] სასამართლომ დააკმაყოფილა *„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საზოგადოების“ (ISFED), „დემოკრატიული ცვლილებების ცენტრისა“* და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივრები და 2,000 ლარიანი ჯარიმა დააკისრა ოზურგეთის მოქმედ მერს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრის გამო და გაფრთხილება მისცა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს ლენტეხში *„ქართული ოცნების“* სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის.

[83] ერთი სარჩელი მოითხოვდა თბილისის მერისთვისა და „ქართული ოცნების“ კანდიდატისთვის რეგისტრაციის მოხსნას ამომრჩეველთა მოსყიდვის ბრალდებით, რაც მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სოციალური პროექტის ფარგლებში საცხოვრებელი ბინების შეთავაზებას გულისხმობდა, კიდევ ერთი სარჩელი მოითხოვდა რეგისტრაციის გაუქმებას „ქართული ოცნების“ იმ ორი კანდიდატისთვის, რომლებმაც შეიცვალეს საარჩევნო ოლქები.

გენერალურმა პროკურატურამ ამომრჩეველთა მოსყიდვის სავარაუდო ფაქტების შესახებ 35 განცხადება მიიღო და ხუთ საქმეზე გამოძიება დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 68 საქმეზე გამოძიება დაიწყო არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობისა და საკუთრების დაზიანების ფაქტებზე. პარტია *„გახარია-საქართველოსთვის“* საჩივრის საფუძველზე გამოძიება დაიწყო პარტიის 44 მხარდამჭერის დაშინების სავარაუდო ფაქტებზე. მათგან 23 გამოიკითხა პოლიციის მიერ და სამმა აღიარა, რომ დააშინეს, მაგრამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება; მიმდინარეობს გამოძიება.

## ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც ეროვნული და საერთაშორისო დამკვირვებლების, ასევე საარჩევნო სუბიექტების და მედიის მხრიდან არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობას. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით 88 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია 31,000 დამკვირვებლით დაარეგისტრირა. სამ ორგანიზაციას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. [84] დარეგისტრირდა 52 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია და 89 მედია საშუალება.[85]

რამდენიმე სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ დაიწყო გრძელვადიანი სადამკვირვებლო აქტივობები და პროცესის ზოგადი გამჭვირვალობისთვის ხელშეწყობის მიზნით არჩევნების დღეს დამკვირვებლები წარგზავნა.[86]ორმა პარალელური ხმის დათვლსი ტაბულაცია განახორციელა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სიების გამოქვეყნების წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რომლითაც გამოითქვა ვარაუდი, რომ დამკვირვებლები ოპოზიციისა და ხელისუფლების მიმართ მიკერძოებული იყვნენ, სავარაუდოდ საზოგადოებაში არჩევნებზე დამკვირვებელთა მიმართ ნდობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა.

---

84 ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი თქვა *„სოციალურ მუშაკთა რეგიონალური ასოციაციისთვის“* აკრედიტაციის მიცემაზე, რადგან ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტები არ ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს და/ან ადამიანის უფლებებზე მუშაობას. და ასევე არ მისცა აკრედიტაცია ორგანიზაციას, *„ვეტერანები ძლიერი და ერთიანი საქართველოსთვის“,* რომელმაც არ შეასწორა წარმოდგენილი დოკუმენტაცია; „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვატორიას“, რადგან ორგანიზაციის თავმჯდომარე კანდიდატად იყრიდა კენჭს.

85 მათ შორის, "ALLMEDIA"-ს ჰყავს 668 მედია წარმომადგენელი, „იმედს“ – 256, *„საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს“* – 203, *„რუსთავი 2“*-ს - 159, *„მთავარს“* - 148, *„ფორმულას“* - 133, *„ტპირველს“* - 118.

86 ეუთო-ოდირის სადამკვირვებლო მისიის მიერ ცესკოს დარეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების მოკვლევის თანახმად, დაახლოებით მათ 53 პროცენტს არ აქვს მუშა ვებ-გვერდი, 71 პროცენტის შესახებ არ მოიპოვება ინფორმაცია ა ანგარიშები ყოველწლიური საქმიანობის შესახებ; ვებგვერდის მქონე ორგანიზაციების 60 პროცენტი, არ აახლებს ინფორმაციას რეგულარულად. დაახლოებით 72 პროცენტს საჯაროდ არ გამოიქვეყნებია ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ და 65 პროცენტს არ გამოუქვეყნებია არჩევნებზე დაკვირვების ანგარიშები სისტემური და თანმიმდევრული წესით.

## კენჭისყრის დღე

საარჩევნო უბნები, რომლებსაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დამკვირვებლები აკვირდებოდნენ, ძირითადად დროულად გაიხსნა გარდა რამდენიმე შემთხვევისა, რომლებშიც გახსნის პროცედურა გაჭიანურდა საორგანიზაციო საკითხების გამო. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა გახსნის პროცედურები 126-დან 117 შემთხვევაში დადებითად შეაფასეს და დაადგინეს, რომ გახსნის პროცედურები უმეტესწილად დაცული იყო, თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში, მიღებული ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა სიაში მყოფ პირთა რაოდენობა არასათანადოდ იყო ჩანიშნული. ცენტრალური საარჩევნო კომისის წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობა 51.9 პროცენტი იყო.

საარჩევნო პროცესი დადებითად შეფასდა უბნების 96.2 პროცენტში. დამკვირვებლები სულ 1,341 საარჩევნო უბანს დააკვირდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ საარჩევნო პროცესი კარგად ორგანიზებული და გამჭვირვალე იყო და პროცედურები ზოგადად კარგად იყო დაცული, მათ ანგარიშებში ასევე აღრიცხეს, რომ საარჩევნო უბნების 17.2 პროცენტში შეიმჩნეოდა ხალხმრავლობა, უბნების 3.9 პროცენტში კი უბნის მოწყობის პრინციპი არ უზრუნველყოფდა ამომრჩევლის ხმის ფარულობა.[87] იმ საარჩევნო უბნების 3.1 პროცენტში, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მოინახულეს, ამომრჩევლები ამომრჩეველთა სიებში საკუთარ მონაცემებს ვერ პოულობდნენ. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ პარტიებისა და კანდიდატების და ასევე სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენელი დამკვირვებლები საარჩევნო პროცესს ადგილზე აკვირდებოდნენ დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების 83.1 პროცენტში, თუმცა 7 პროცენტში, მათი დაკვირვებით, ისინი საარჩევნო პროცესში ერეოდნენ. სადამკვირვებლო მისიის დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების 36.1 პროცენტში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს აშკარა მინიშნებები, რომ სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები პარტიებისა და კანდიდატების სახელით მოქმედებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელი ცვლილებებით აიკრძალა შეკრებები საარჩევნო უბნებიდან 100 მეტრამდე პერიმეტრში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მათი დაკვირვების არეალში მოქცეული უბნების 21 პროცენტში უშუალოდ საარჩევნო უბანის მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნეს ადამიანთა ჯგუფები, აღრიცხვას აწარმოებდნენ, რაც შეშფოთების საფუძველს ქმნის, რადგან მსგავსი ქმედებები საფრთხეს უქმნის ამომრჩეველთა შესაძლებლობას ხმა

[87] გარდა ამისა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ კრწანისის საარჩევნო უბანში, სადაც საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული სკანერი იყო განთავსებული, ზოგიერთ შემთხვევაში ხმის მიცემის დროს ამომრჩეველთა არჩევანის დანახვა იყო შესაძლებელი. კრწანისშივე, სამ საარჩევნო უბანზე, დაბეჭდილი ბიულეტენების მეტისმეტად დიდი ზომის გამო, რომლის სკანერში მოთავსებაც შეუძლებელი იყო, საჭირო გახდა ბიულეტინების კონვერტებში მოთავსება. ბეჭდვის დროს დაშვებული ხარვეზების გამო ვაკის ოლქში ერთ-ერთი საარჩევნო უბანზე ბიულეტენების ჩანაცვლება სხვა უბნიდან მოტანილი ბიულეტენებით გახდა საჭირო.

მისცენ ზეწოლის შიშის გარეშე. საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით გაღებული ძალისხმევის მიუხედავად, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მათი დაკვირვების არეალში მოქცეული უბნების 59.6 პროცენტში უბნები არ იყო ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლისთვის. დაკვირვების არეალში მოქცეულ საარჩევნო უბნებზე საარჩევნო კომისიების წევრთა უმეტესობას ქალები შეადგენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა აკრძალა საარჩევნო უბნის გარეთ 100 მეტრის პერიმეტში შეკრებები, დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ დაკვირვების ქვეშ მყოფი უნების 21 პროცენტში გარეთ შეინიშნებოდა ცაკეულ პირთა დაჯგუფეფები, რაც დამაშინებელ გარემოს ქმნიდა; 8 პროცენტში აღინიშნა ამომრჩეველთა აღიცხვა, რაც შეშფოთებას იწვევას ამომრჩეველთათვის მიერ ხმის ზეწოლის გარეშე მიცემის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო.[88] ასევე ანგარიშებში მოხვდა ძალადობის ცალკეული შემთხვევები.[89]

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესი უარყოფითად შეაფასეს დაკვირვების არეალში მოქცეული 116-დან 20 უბანში, რაც ძირითადად პროცედურული დარღვევები იყო გამოწვეული ან იმის გამო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს გაუჭირდათ საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსება. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები მისიის დამკვირვებელთა დაკვირვების არეალში მოქცეული თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე ესწრებოდნენ საარჩევნო პროცესს და დამკვირვებლება პროცესი საარჩევნო უბნების 98 პროცენტში დადებითად შეაფასეს. პროცედურების უგულვებელყოფის შემთხვევებში დაფიქსირდა შემდეგი სახის დარღვევები: გამოუყენებელი ბიულეტენები არ გაბათილდა 19 საარჩევნო უბანში, 14 საარჩევნო უბანში საარჩევნო ყუთების გახსნის წინ არ მოხდა ხელმოწერების სათანადოდ აღრიცხვა, საკონტროლო ფურცლები სათანადოდ არ შემოწმდა და უსაფრთხოდ არ შეინახეს ოთხიდან ერთ შემთხვევაში. 16 საარჩევნო უბანში სამოქალაქო დამკვირვებლები ან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ერეოდნენ ხმების დათვლის პროცესში. დაკვირვების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნებიდან 39 უბანში პროცედურების საწინააღმდეგოდ, საეჭვო ბიულეტენების ნამდვილობის შესახებ გადაწყვეტილება თავმჯდომარემ მიიღო და არ გამოიყენა საუბნო კომისიის წევრთა ხმებით კენჭისყრის გზა.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ 28 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს გაუჭირდათ შედეგების ოქმების შევსება, რის შედეგადაც გამოქვეყნებულ ოქმებში შედეგები არ იქნა სათანადოდ აღრიცხული (11 შემთხვევა), საჭირო გახდა საუბნო საარჩენო კომისიების მანამდე შევსებულ ოქმებში შეყვანილი მონაცემების შესწორება (13 შემთხვევა), და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ოთხ საარჩევნო უბანში განსხვავებული აზრი წარმოადგინეს და უარი თქვეს ოქმებზე ხელის მოწერაზე. დაკვირვების

[88] მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა რუსთავში, ბოლნისში, გორსა და ქუთაისში.

[89] შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით დაფიქსირდა ფიზიკური თავდასხმის 8 შემთხვევა, მათ მარნეულში „ლეიბორისტული მხარდამჭერის“ დანით დაჭრისა და ორი შემთხვევა ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტები.

არეალში მოქცეული უბნების ერთ მესამედში საარჩევნო უბნებმა საჯაროდ არ გამოაკრეს საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების ხელმოწერილი ასლები, რამაც პროცესის გამჭვირვალობა შეამცირა. დაახლოებით 3,200 საარჩევნო უბანს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის გასაზრდელად და გაყალბების ფაქტების აღმოსაჩენად ვიდეო კამერები გადაეცათ, თუმცა ამ ზომამ ხმების დათვლის პროცესი შეანელა.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებთა შეფასებით ტაბულაციის პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ტაბულაციაზე დაკვირვების პროცესი არ დასრულებულა, საოლქო საარჩევნო უბნების ტაბულაციის საწყისი ეტაპები, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებას და ატვირთვას მოიცავს, ზოგადად დადებითად შეფასდა გარდა გადაკვირვების არეალში მოქცეული 60-დან საოლქო საარჩევნო უბანიდან 4 უბანისა ხალხმრავლობის გამო. დამკვირვებელთა არეალში მოქცეული საოლქო საარჩევნო კომისიების უმეტესობაში პროცესს პარტიების წარმომადგენლები და დამკვირვებლები ესწრებოდნენ.

კენჭისყრის დღეს საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 370 საჩივარი შევიდა საუბნო საარჩევნო კომისიებში სხვადასხვა ტიპის პროცედურული დარღვევების სავარაუდო ფაქტების შესახებ. საჩივრები შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას, სამოქალაქო დამკვირვებელთა მხრიდან ხელის შეშლის ფაქტებს, ამომრჩეველთა სიებსა და ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურებს, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, ვიდეო გადაღებას და ხელახალი გადათვლის მოთხოვნებს. მათგან, 250-ზე მეტ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, სხვა შემთხვევებში კი მოთხოვნილი იყო ადმინისტრაციული ოქმის გამოცემა, რომელიც ექვემდებარება სასამართლოს განხილვას.

*წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ხელმისაწვდომია დოკუმენტის არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე.*

## ინფორმაცია მისიის შესახებ და სამადლობელი სიტყვა

თბილისი, 2021 წლის 3 ოქტომბერი – წინამდებარე მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ იმ ერთობლივი ძალისხმევის შედეგია, რომელშიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი (კონგრესი) და ევროპის პარლამენტი იღებდნენ მონაწილეობას. არჩევნებზე დაკვირვების მიზანს წარმოადგენდა ეუთოს ვალდებულებებსა და ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, ასევე დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებთან, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენაიმის დადგენა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას, რომელიც ქვეყანაში 26 აგვისტოდან მუშაობს, ალბერტ იონსონი ხელმძღვანელობს. კონგრესის სადამკვირვებლო მისია 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე, ხოლო ევროპარლამენტის მისია 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე ახორციელებდა საქმიანობას.

არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიაში (IEOM) მონაწილე ინსტიტუტებმა 2005 წელს მიღებულ „არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციას“ დაუჭირეს მხარი. წინამდებარე მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ საარჩევნო პროცესის დასრულებამდე მომზადდა. არჩევნების საბოლოო შეფასება, ნაწილობრივ, საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპებზე, მათ შორის ხმების დათვლაზე, დაჯამებასა და შედეგების გამოცხადებაზე, მიმდინარეობაზე და ასევე არჩევნების დღის შემდეგ მოსალოდნელი საჩივრებისა და სარჩელების განხილვაზე იქნება დამოკიდებული. ეუთო/ოდირი საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირის შემდეგ ყოვლისმომცველ საბოლოო ანგარიშს გამოაქვეყნებს, რომელშიც მოცემული იქნება რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების პოტენციური გზების შესახებ. კონგრესი საკუთარ საინფორმაციო ანგარიშს 42-ე სხდომაზე წარადგენს 2021 წლის 22 მარტს, ხოლო ევროპარლამენტი დელეგაციის მომავალ შეხვედრაზე.

ეუთო/ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დედაქალაქში 13 ექსპერტით, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით მომუშავე 30 გრძელვადიანი დამკვირვებლით არის წარმოდგენილი. არჩევნების დღეს 302 დამკვირვებელი 32 ქვეყნიდან, მათ შორის ეუთო/ოდირის გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები და ასევე კონგრესის თვრამეტწევრიანი და ევროპარლამენტის თოთხმეტევრიანი დელეგაციები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადანაწილდა და ხმის მიცემის პროცესს 1400 უბანზე დააკვირდა, უბნების გახსნას 141 უბანში დააკვირდა, ხმების დათვლას - 131-ში, ტაბულაციას კი - 60 საოლქო საარჩევნო უბანში.

დამკვირვებლებს სურთ, მადლობა გადაუხადონ ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის და ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაწეული დახმარებისთვის. დამკვირვებლები ასევე მადლიერებას გამოხატავენ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო

საზოგადოების ორგანიზაციების და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მიმართ გაწეული თანამშრომლობისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ:

- ელჩი ალბერტ იონსონი, ეუთო/ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, თბილისი (+995 595316883);
- კატია ანდრუში, ეუთო/ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელი (+48 609 522 266) ან ქსენია დაშუცინა, ეუთო/ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის კონსულტანტი საარჩევნო საკითხებში, ვარშავა (+48 603 793 786);
- რენატე ზიკმუნდი, განყოფილების ხელმძღვანელი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი, ვარშავა (+33 659 786 455).
- რაფაელე ლუისი, ევროპის პარლამენტი, (+32 477 85 53 24)

ეუთო/ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:
„შერატონ გრანდ მეტეხი პალასი“
თელავის ქ. #20, 0103, თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@odihr.ge